ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## სიღნაღში 68 წლის ქალი მოკლეს



ეჭვმიტანილი თბილისში დააკავეს

გვ.5

ორშაბათი, 31 იანვარი, 2022 №21 (8799) ფასი: 60 თეთრი

# გლდანში გარდაცვლილი ოჯახი 3 დღის შემდეგ აღმოაჩინეს









გვ.5

მათ შორის 3 ბავშვია

„გაზქურის ღუმელი ღია და ანთებულ მდგომარეობაში იყო“

## „სალომე ზურაბიშვილის ყველა გადაწყვეტილება თაღლითობას ჰგავს“

შოთა მალაშხია: „უკრაინაში საქართველოს ბედი წყდება“



გვ.4

## დავით ჭიჭინაძე: „ოპოზიცია უნდა მიხვდეს, რომ პარლამენტში ყოფნას აზრი არ აქვს“



გვ.3



გვ.3

## „ქვეყანაში მთავარი და ძირეული პრობლემა ისევ ინფლაციაა“

ოთო აბესაძე: „შემოსავლები 20%-მდე შეგვიმცირდა“



გვ.2

## ნიკა ჩიტაძე: „ოცნების“ მიზანი ოპოზიციის დასუსტებაა და, არ გამოვრიცხავ, დეპუტატებს მანდატი შეუჩერონ“

## ირაკლი ღარიბაშვილი ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის გახსნაზე: „ჩვენი მთავრობის მთავარი პრიორიტეტი არის საქართველოს, როგორც რეგიონული ჰაბის, ფორმირება“




გვ.4



გვ.2

## ღარიბაშვილმა და კომპანია როტშილდის მმართველმა დირექტორმა ქვეყნის რეგიონულ ფინანსურ ჰაბად გარდაქმნაზე ისაუბრეს

ISSN 1987-9385

2 თორნიკე დავითაშვილი სააკაშვილზე: „ეს იქნება ჩემთვის ბოდიშის მოხდაზე მეტი“

5 საფოსტო გზავნილში 150 ოქროს მონეტა იპოვეს

4 დავით ნარმანია: „სისულელე დაწერეს, ჩემი ცოლი კომპანიის მხოლოდ დირექტორია, მეტი არაფერი“

6 კიევში აშშ-ის საელჩო ამერიკელებს უკრაინის დატოვებისკენ მოუწოდებს

# „ოცნების“ მიზანი ოპოზიციის დასუსტებაა და, არ გამოვრიცხავ, დეპუტატებს მანდატი შეუჩერონ“

## ნიკა ჩიტაძე: „დასავლეთი სააკაშვილის ჩამოსვლის წინააღმდეგი იყო და ახლა ის უხერხულ სიტუაციაშია“

იაგო ნაცვლიშვილი

**მიმდინარე აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.**

***– ჩინოვნიკების დაუოკებელი სურვილია ტყეების ცოლებისთვის გადაცემა თუ რა არის ეს?***

– ჩინოვნიკები კარგად ხედავენ, რომ ბევრი რამე გასდით, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი აპროტესტებს და ხშირად მასმედიის საშუალებებიც აშუქებენ, მათ შორის იმასაც, როგორ არიან მეწარმეები გარიგებული სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება იმით, რომ ისინი „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ მუშაობენ არჩევნებზე, შემდეგ კი ტენდერებს „იგებენ“ სახელმწიფოსთან დაახლოებული მეწარმეები. გვინახავს ისიც, რომ ხელისუფლების მაღალჩინოსნებს ფეშენებელური სახლები აქვთ. ალბათ „ოცნება“ იმასაც აცნობიერებს, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ნიჰილისტურად არის განწყობილი პოლიტიკური პარტიების მიმართ. ეს აჩვენა ბოლო კვლევამაც.

***– ალბათ ამ ნიჰილიზმიდანაც გამომდინარეობს ის, რომ ხელისუფლებას ყველაფერი გასდის, რადგან ხალხი არ არის აქტიური, მაგრამ ეს ნიჰილიზმი მათ შორის ოპოზიციის უმოქმედობის ბრალიც არის?***

– უფრო სწორად – ოპოზიციის არასწორი მოქმედებების, მათი არასწორი სტრატეგიისა და ტაქტიკისა და ეს ნიკა მელიამაც აღიარა. როდესაც „ენ-დი-აი“-ს კვლევის შედეგები გამოქვეყნდა, მან აღიარა, რომ შეცვლილი უნდა იყოს სტრატეგიული კომუნიკაცია.

***– ოპოზიცია ბრაზდება ხოლმე კრიტიკულ კითხვებზე, აგერ ვნახეთ გიგი უგულავას რეაქცია, როდესაც ინგა გრიგოლია სუსის და „ოცნების“ გამტარობაში დაადანაშაულა. ეს რამდენად გამართლებულია?***

– რა თქმა უნდა, არასწორია, მით უმეტეს რეგრესია დემოკრატიის კუთხით. ბუნებრივია, პოლიტიკოსისთვის განსხვავებული აზრი მისაღები უნდა იყოს და ამ შემთხვევაში კრიტიკულ კითხვებს შესაბამისი პასუხები უნდა გასცეს. ოღონდ ზრდილობის ფარგლებში უნდა უპასუხოს დასმულ კითხვებს. უგულავა ინტელექტუალი ადამიანია და, რა თქმა უნდა, მას მეტი მოეთხოვება, მით უმეტეს, 50.000 ლარი მოიგო. ჟურნალისტების კითხვები კრიტიკული იქნება და ეს ძალიან ბუნებრივია. როდესაც პოლიტიკოსი ხარ, მას პასუხი უნდა გასცე.



**„განსხვავებული აზრის მიუღებლობა საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი – ხან მიშას ექსპერტად „მომნათლეს“ და ხან თითქოს ფულს მიხდიდა“**

***– მე მგონი, განსხვავებული აზრის მიუღებლობა ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა და არა მხოლოდ პოლიტიკური ელიტის. მერე ზოგი „ნაცია“, ზოგი „ქოცია“, ზოგი რუსეთის აგენტია და ა.შ. ხშირია ასეთი იარლიყები. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

– კი, ასეა. როდესაც ხელისუფლებას აკრიტიკებ, იმას გაბრალებენ, რომ „ნაცებთან“ ხარ შეკრული, ან პირიქით – როდესაც მწვავე კითხვებს უსვამენ ოპოზიციას, თითქოსდა ხელისუფლებასთან არის შეკრული.

რაც შეეხება საზოგადოებას, ეს საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. როდესაც ვამბობდი იმას, რაც კარგი გააკეთა ნაცმოძრაობამ, მიშას ექსპერტად და მედროვედ „მომნათლა“ ბევრმა. მარტო მე არ ვარ ასეთი, ბევრია. რომელიღაც პარტია მოგწონს და რომელიღაც – არა. ეს არ ნიშნავს, რომ შეკრული ხარ მასთან. იგივე ფეხბურთში თქვენ იტალიის გულშემატკივარი ხართ, მე – ინგლისის, ეს ჩვეულებრივი მომენტია და ასევეა პოლიტიკაშიც, ვიღაცის პოლიტიკური შეხედულებები მისაღებია და ვიღაცის – არა. სამწუხაროდ, ჩვენს ხალხს ბევრს ესმის. ჩემს შემთხვევაში ხან თურმე ფულს მიხდიდა სააკაშვილი და ა.შ. ჰაერში აფრქვევენ ბრალდებებს ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე და მერე შენ თავი უნდა იმართლო. არადა, მტკიცებულებები ჭორების გამავრცელებელმა უნდა წარმოადგინოს. იმავე კოვიდთან დაკავშირებით ბევრს ჰგონია, რომ ჩიპს ჩაუდგამენ აცრის შედეგად. ნახევარზე მეტი რომ აცხადებს, არ ავიცრებიო, ამაზე რა შეფასება უნდა გავაკეთო, არც კი ვიცი.

***– დღეს იხსნება საგაზაფხულო სესია და ერთ-ერთი განსახილველი საკითხი იქნება დეპუტატების – ბადრი ჯაფარიძის, შალვა ნათელაშვილისა და ელენე ხოშტარიასთვის დეპუტატის მანდატის მოხსნის საკითხი. წავლენ ამაზე?***

– არ არის გამორიცხული, რომ წავიდნენ. „ოცნება“ აცნობიერებს, რომ მას არ აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა პარლამენტში. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ვიღაცამ კიდევ დატოვოს „ქართული ოცნების“ რიგები, როგორც ეს წინა მოწვევის პარლამენტში მოხდა, როდესაც იმავე ეკა ბესელიამ და სხვებმაც დატოვეს უმრავლესობის რიგები.

***– თუნდაც იგივე მოხდა ამ მოწვევის პარლამენტშიც, როცა გახარიას გუნდმა დატოვა უმრავლესობა.***

– ზუსტად მანდ მივდიოდი. გახარიას გუნდის 6 წევრი გამოვიდა. აქედან გამომდინარე, თუ ვადამდელი არჩევნები არ ჩატარდება, შესაძლებელია, უმრავლესობის რღვევა გაგრძელდეს. ამიტომ მათ ინტერესებშია, რაც შეიძლება ცოტა წარმომადგენელი ჰყავდეს ოპოზიციას, მით უმეტეს, როდესაც ნაცმოძრაობა საპარლამენტო საქმიანობის გაგრძელებას აპირებს.

***– ელენე ხოშტარია და შალვა ნათელაშვილი აქამდე არ იყვნენ საპარლამენტო საქმიანობაში ჩართული, განსხვავებით ბადრი ჯაფარიძისგან და ასეთი მოლოდინი გაქვთ, რომ მასაც შეუჩერებენ მანდატს?***

– შესაძლებელია. ეს დამოკიდებულია იმაზე, რა სცენარი გათამაშდება. მართალია, ჯაფარიძე და ხაზარაძე არ დააპატიმრეს, მაგრამ დამნაშავედ ცნეს.

***– ამას პოლიტიკური სკანდალი არ მოჰყვება?***

– ყოველ შემთხვევაში, ნიკა მელიას შეუჩერეს დეპუტატის მანდატი.

***– თუმცა მაშინ ძალიან კრიტიკული იყო დასავლეთის გამოხმაურებები.***

– კი ბატონო, მაგრამ ახლაც ბევრ რამეზეა კრიტიკული, თუმცა „ოცნება“ ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით ყველაფერზე მიდის. იმავე ამერიკის ელჩისა და კობახიძის დისკუსია ვნახეთ სულ ცოტა ხნის წინ.

***– სხვათა შორის, დასავლეთი სააკაშვილის თემაზე არ აქტიურობს და, როგორ ფიქრობთ, რატომ?***

– ყოველ შემთხვევაში, რაღაც მცდელობა არსებობს, მაგრამ ახლა უფრო უკრაინის კრიზისზე არიან გადართული.

***– მოდით, პირდაპირ ვაღიაროთ, რომ თავის დროზეც არ იყო ისეთი რეაქცია, როგორისაც ველოდით.***

– კი, თავის დროზეც არ იყო ისეთი აქტიური. მოთხოვნა იყო, რომ ციხეში სათანადოდ მოჰქცეოდნენ და მისი, როგორც პატიმრის უფლებები მაქსიმალურად ყოფილიყო დაცული.

***– დასავლელი პოლიტიკოსები სააკაშვილს მოუწოდებდნენ, არ ჩამოსულიყო საქართველოში, რადგან ეს ვითარებას დაძაბავდა. ვინაიდან მან ეს არ გაითვალისწინა, ამიტომ ხომ არ შეხვდნენ ამ საკითხს ცოტა ინერტულად?***

– რა თქმა უნდა, ეს მომენტიც არის. ცოტა გაწბილებულები არიან, რადგან მან არ გაითვალისწინა მათი აზრი იმაზე, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს. ამით დასავლეთიც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, იმიტომ, რომ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სააკაშვილის წინააღმდეგ. კი, პროკურატურა და სასამართლო არ არის დამოუკიდებელი, მაგრამ ისინი ვერ მოითხოვენ გათავისუფლებას. მაშინ დამამტკიცებელი საბუთები უნდა ეჭიროთ ხელში, რომ უდანაშაულოა. დანარჩენი, ვნახოთ, ევროპული სასამართლო რა გადაწყვეტილებას მიიღებს, მართებული იყო თუ არა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა სააკაშვილის წინააღმდეგ. დასავლეთს რაც შეეხება, ის უხერხულ სიტუაციაშია. მისთვის მიუღებელი იყო სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლა და ეს ჩემთვისაც მიუღებელი იყო.

# ღარიბაშვილმა და კომპანია როტშილდის მმართველმა დირექტორმა ქვეყნის რეგიონულ ფინანსურ ჰაბად გარდაქმნაზე ისაუბრეს



საქართველოს მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ფინანსური ჯგუფის როტშილდ ენდ კომპანის დელეგაცია ეწვია, რომელმაც ქვეყნის რეგიონულ ფინანსურ ჰაბად გარდაქმნის სტრატეგიაზე მუშაობა დაიწყო.

შესაბამის ხელშეკრულებას ხელი საქართველოს მთავრობასა და კომპანიას შორის ბრიუსელში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტისას მოეწერა.

დელეგაციას, რომელსაც კომპანიის მმართველი დირექტორი, არიელ მალარდ დე როტშილდი ხელმძღვანელობს, მთავრობის მეთაური მთავრობის ადმინისტრაციაში შეხვდა.

საუბრისას ყურადღება გამახვილდა ქვეყნის რეგიონულ ფინანსურ ცენტრად ჩამოყალიბების საკითხზე, რაც ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, თანამედროვე ფინანსური, ტექნოლოგიური სიახლეების გაზიარებას.

აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა აქტიურად წარიმართება.

საუბარი ასევე შეეხო თბილისსა და გონიოში სპეციალური საერთაშორისო ფინანსური ზონების შექმნას.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტულია, რომ ფინანსურ ზონებში მოქმედი საერთაშორისო კომპანიების პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს მოქალაქეები იქნებიან, რაც მათ განსაკუთრებული პროფესიული და კარიერული განვითარების საშუალებას მისცემს.

შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი საქართველოში არსებულ ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს და კაპიტალის ბაზრის განვითარებას, რაც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა.

პრემიერ-მინისტრმა როტშილდ ენდ კომპანის მმართველ დირექტორს მთავრობის მაქსიმალური მხარდაჭერა აღუთქვა, რათა სტრატეგიაზე მუშაობა მაქსიმალურად ეფექტურად წარიმართოს და მოკლე ვადებში გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები საქართველოში უცხოური ფინანსური რესურსების მოზიდვისა და საერთაშორისო ფინანსური კომპანიების შემოსვლის მიმართულებით.

შეხვედრას პიერ ადელინი, ელა ტრედი, შტეფან ლინიგერი და მარკ გოსმანი, ხოლო საქართველოს მხრიდან მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ილია დარჩიაშვილი ესწრებოდნენ.

# თორნიკე დავითაშვილი სააკაშვილზე: „ეს იქნება ჩემთვის ბოდიშის მოხდაზე მეტი“

გარდაცვლილი კობა დავითაშვილის შვილი, თორნიკე დავითაშვილი, საქართველოს მესამე პრეზიდენტის შესახებ რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრობს.

მიხეილ სააკაშვილი თორნიკეს ნათლია და წარსულში მამის პოლიტიკური ოპონენტი იყო.

თორნიკე ამბობს, რომ ნათლიის არ სჯერა და მიხეილ სააკაშვილი პოპულისტია. ნათლიას ნათლული სასჯელის მოხდას ურჩევს და აცხადებს, რომ ეს ნაბიჯი მისთვის ბოდიშის მოხდაზე მეტი იქნება.

– მჯერა ადამიანის, მაგრამ ნათლიაჩემს შეცვლის არაფერი ემჩნევა. ალბათ, ვერ აცნობიერებს, რა დააშავა. ადამიანი ვერ შეიცვლება იქამდე, თუ არ გაიაზრებს, რა გააფუჭა და რა არასწორი ნაბიჯები გადადგა.

დღემდე ჰგონია, რომ რაც გააკეთა, ყველაფერი ეპატიება, რომ მოდიოდა აქ, იასა და ვარდებს დაახვედრებდნენ, რომ მიშაა ქვეყნის აღმშენებელი, მაგრამ რეალობა ისეთია, რომ საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა არაკანონიერად უცხოეთის მოქალაქემ და რას ელოდებოდა, ძალიან მაინტერესებს! – ამბობს თორნიკე დავითაშვილი.

ჟურნალისტის კითხვას, მას ციხიდან წერილი რომ მოსწეროს ექსპრეზიდენტმა ნათლიამ, გაუკვირდება თუ არა, გარდაცვლილი პოლიტიკოსის შვილი ასე პასუხობს:

– არ გამიკვირდება, მაგრამ ნათლიაჩემი რომ ნათლიაჩემია, რაში დაემჩნა, არანაირი ქმედითი საქმით მას ეს არ დაუმტკიცებია. ნათლიაჩემი არის ძალიან დიდი პოპულისტი. მას არ ვენდობი. სულ რომ ცრემლები წამოუვიდეს, საქმით თუ არ დაამტკიცა, რომ ნანობს, მისი სიტყვები ჩემთვის ფურცელზე სიტყვებია, იმიტომ, რომ არ ვენდობი, არ არის სანდო ადამიანი.

აღიაროს საკუთარი დანაშაული იქ, სადაც მიუძღვის და მოიხადოს სასჯელი ისე, როგორც იმსახურებს. გადასარევად იცის, რას იმსახურებს. თვითონაც იურისტია და ძალიან კარგად იცის. ეს იქნება ჩემთვის ბოდიშის მოხდაზე მეტი.



ამის შესახებ თორნიკე დავითაშვილმა „რადიო თავისუფლების“ გადაცემა „შვილებში“ ისაუბრა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოპოზიცია უნდა მიხვდეს, რომ პარლამენტში ყოფნას აზრი არ აქვს“

## დავით ჭიჭინაძე: „ქართული ოცნება“ ისევ იმას აკეთებს, რასაც ყოველთვის აკეთებდა, ყველაფერს სათავისოდ ირგებს“

ნათია ხურცილავა



**პარტია „ტრიბუნას“ თავმჯდომარე, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო დავით, პარლამენტში საგაზაფხულო სესია იხსნება. უნდა გადაწყდეს, შევა თუ არა პარლამენტში ყველაზე მსხვილი ოპოზიციური პარტია, ნაციონალური მოძრაობა. როგორია თქვენი მოლოდინი?***

– სანამ ოპოზიცია პარლამენტში არ შედიოდა, პარლამენტი პარალიზებული იყო და ვერანაირ კანონს ვერ იღებდა. დღეს კი ოპოზიცია პარლამენტშია წარმოდგენილი და ყველა კანონპროექტის მიღების შესაძლებლობას აძლევს ხელისუფლებას. სანამ ამ მდგომარეობაში იქნება ოპოზიცია, ხალხი მათ არ დაუჯერებს და ეს გამოჩნდა ბოლო სოციოლოგიურ კვლევებშიც. ამიტომ ოპოზიციამ უნდა გააცნობიეროს, რომ აუცილებელია, ხალხს ცვლილებების გეგმა შესთავაზოს. თუ რეალური გეგმა და ხედვა არ იქნა უახლოეს მომავალში წარმოდგენილი, მაშინ არაფერი გამოვა და ერთსა და იმავე მოჯადოებულ წრეზე ვივლით. მოვა გაზაფხული, ქუჩაში გამოვალთ, მერე მოვა ზაფხული, ისევ შევალთ, მერე დაველოდებით შემოდგომას და ასე იქნება გაუთავებლად.

ქვეყანაში ყველა მიმართულებით არის პრობლემა. ამიტომ საჭიროა უფრო ფართომასშტაბიანი ხედვის წარმოდგენა. ოპოზიციამ უნდა შეძლოს, რომ ხალხმა მისი ირწმუნოს. თუ ისე მოხდება, რომ ყოველგვარი პოლიტიკური მოთხოვნების გარეშე ხალხი ქუჩაში სტიქიურად გამოვა, ეს იქნება ქაოსი, რომელიც არავის არ აწყობს. ქაოსი არც ამ ქვეყანას მოუტანს სიკეთეს და არც ამ ხალხს.

### „სანამ ოპოზიცია ამ მდგომარეობაში იქნება, ხალხი მათ არ დაუჯერებს“

***– რამდენად გონივრულად მიგაჩნიათ ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომ ოპოზიციის სამ დეპუტატს: შალვა ნათელაშვილს, ელენე ხოშტარიასა და ბადრი ჯაფარიძეს შეუწყვიტონ უფლებამოსილება?***

– ეს კეთდება საგამოძიებო კომისიის ჩასაგდებად, იმ კომისიის, რომლის შექმნის ინიციატივით გამოდიან სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა. პრაქტიკულად ამაზე მუშაობენ. სხვა შინაარსობრივ დატვირთვას ვერ ვპოულობ.

„ქართული ოცნება“ ისევ იმას აკეთებს, რასაც ყოველთვის აკეთებდა, ყველაფერს სათავისოდ ირგებს. ამ შემთხვევაში მაინც ოპოზიცია უნდა მიხვდეს, რომ პარლამენტში ყოფნას აზრი არ აქვს.

***– ნაციონალური მოძრაობა ამბობს, რომ კომისიის შესაქმნელად შედის. ფიქრობთ, ასე არ არის?***

– 50 ადამიანი სჭირდება გადაწყვეტილების მიღებას. ოპოზიციის მოსყიდული ნაწილი რომ მხარს არ დაუჭერს ამ იდეას, ეს ხომ მათ მშვენივრად იციან! თვითონ კი საკმარისი ხმები არ აქვთ. ამიტომ ეს იდაც განწირულია. კიდევ ერთხელ გამოჩნდება, რომ ოპოზიციას არ აქვს თუნდაც ამ საკითხის გატანის უნარი.

რაც შეეხება მეორე მიზეზს, რომ პარლამენტში შევედით საკონსტიტუციო ცვლილებების განსახორციელებლად, „ქართული ოცნება“ ღიად გვეუბნება, თან დაცინვით, რომ თუ მოხდება საკონსტიტუციო ცვლილებები, ეს იქნება მათი კეთილი ნება და არა ოპოზიციის მუშაობის შედეგი. ამ პირობებში სრულიად გაუგებარია, რა ესაქმება ოპოზიციას პარლამენტში!

ასეთი დამცირებული და რეპუტაციაშელახული ოპოზიცია, რა თქმა უნდა, ცვლილებებს ვერ განახორციელებს, ხალხის ლიდერად ვერ მოგვევლინება. პოლიტიკური პარტიები, რომლებიც პარლამენტში შევიდნენ, საკმაოდ სერიოზულად დაზიანდნენ ელექტორალურად, ბევრი ხმა დაკარგეს. სწორედ ასეთმა ნაბიჯებმა გამოიწვია ნდობის დაკარგვა. არათანმიმდევრულობა ყოველთვის იწვევს ასეთ შედეგებს.

***– შეიძლება, ასე გაგრძელდეს?***

– თუ მეორე მხარე არ იქნება ადეკვატური, თუ ადამიანები ვერ დაინახავენ ლოგიკას, პერსპექტივას, შეიძლება, გაგრძელდეს, თუმცა, მგონია, რომ სურათი აუცილებლად შეიცვლება.

***– რატომ შეიცვლება?***

– გარეფაქტორებს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი ჰქონდეს, თან მგონია, რომ ადამიანები უფრო კონსერვატიულ ძალებზე გააკეთებენ აქცენტს. გაზაფხულზე ამ მიმართულებით გააქტიურდება მუშაობა, კონსულტაციები დაიწყება პოლიტიკურ ძალებს შორის, ალბათ, უფრო საერთო, თანხვედრილი იდეებისა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე და არა პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, როგორც აქამდე ვხედავდით.

# „ქვეყანაში მთავარი და ძირეული პრობლემა ისევ ინფლაციაა“

## ოთო აბესაძე: „შემოსავლები 20%-მდე შეგვიმცირდა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ეკონომიკის ექსპერტი ოთო აბესაძე პასუხობს.**



***– ოთო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის ეკონომიკურ პროცესებს? იანვარიც მიიწურა, ხელისუფლება დადებით ტენდენციაზე საუბრობს, თუმცა მოსახლეობა ამ სიკეთეებს ვერ ხედავს – მომატებული ფასები და გაძვირებული ცხოვრება. რას იტყვით თქვენ, როგორ დაიწყო 2022 წელი?***

– 2022 წელი ზოგადად დაიწყო ერთადერთი პოზიტივით, რომელიც ეხება თურქეთიდან მედიკამენტების შემოტანასა და ამ ბაზრის გახსნას. სხვა დანარჩენი კი არანაირი ნაბიჯი არ გადადგმულა. მთავარი და ძირეული პრობლემა ისევ არის ინფლაცია და მეტიც, ამას სულ უფრო და უფრო ეწყობა ხელი. პირველ კვარტალში ფასების ზრდა გაგრძელდება, გაიზრდება 10-12%-ით, ინფლაცია გადასცდება 14%-იან ნიშნულს და ავა 14,2%-ზე.

***– ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?***

– ის, რომ რეალურად ვერანაირი ტიპის მსხვილი უცხოური ინვესტიცია, ვალუტა თუ ხელისუფლების მხრიდან რაიმე ეკონომიკური რეფორმული ნაბიჯი ვერ დავინახე ვერც ნოემბერში, ვერც დეკემბერში და მით უმეტეს ვერც იანვარში. შესაბამისად, მოლოდინები, სამწუხაროდ, მაქვს ნეგატიური. რაც შეეხება ფასების ზრდის დინამიკას, ამის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი არის ინფლაცია და ვალუტა. კი, ლარმა გარკვეული დოზით, მიზერულად, მაგრამ მაინც დაიწყო გამყარება და ეს არის უკანასკნელი ვაჭრობის შედეგი, რომელიც დადო ეროვნულმა ბანკმა. თუმცა ეს არის ერთგვარი ძალიან მოკლევადიანი ეფექტის მქონე. საბოლოო ჯამში, მსხვილი ინვესტიციებისა და ვალუტის შემოდინების გარეშე შეუძლებელია და, სამწუხაროდ, ეს დიდ ნეგატიურ შედეგს გამოიღებს თებერვლის ბოლოსთვის.

***– ხელისუფლების პროგნოზები აბსოლუტურად განსხვავდება თქვენი პროგნოზებისგან. მათ თუ მოვუსმენთ, ქვეყანაში ეკონომიკა ყვავის და ორ-სამ თვეში ყველაფერი კარგად იქნება. რამდენად უნდა გვქონდეს ამის მოლოდინი?***

– მე არ მესმის, ეს მოლოდინი რამ გამოიწვია და ამას რის საფუძველზე ამბობენ. ერთადერთი, თუ ის გათვლა აქვთ, რომ ელოდებიან ტურისტს და ამბობენ, რომ გაზაფხულიდან ტურისტული ნაკადი წამოვა და ეს ვალუტას შემოიტანს, ესეც მცდარია. მე მათ შევთავაზე ინიციატივა, რომ მინიმუმ 2025 წლამდე ტურიზმში არსებული ეკონომიკური ინდივიდები სრულად გაეთავისუფლებინათ გადასახადებისგან, მათ შორის უნდა ყოფილიყო აგრესიული ჩარევა და ტურისტული სექტორის წახალისება, რაც გააკეთეს გერმანიამ, სომხეთმა, უკრაინამ. თუნდაც როგორც გერმანიაში ხდება ღამის ცხოვრების, ასევე სათამაშო ბიზნესის წახალისება.

***– ექსპერტთა ერთი ნაწილი და ასევე სახელისუფლებო ეკონომიკური გუნდი აცხადებს, ექსპორტი საგრძნობლად გაიზარდა, ამიტომ გვაქვს ეკონომიკური ზრდა და მომავალშიც უკეთეს შედეგებს ველითო. რის ექსპორტი გაიზარდა?***

– აქ ერთი კითხვა ჩნდება: რის ექსპორტი?! საქართველო რის ექსპორტს ახორციელებს? ეს არის მინერალური წყლები, ეს არის ღვინო, ეს არის ფეროშენადნობები და ძალიან მწირი რესურსია, რომელიც საქართველოდან გადის ექსპორტზე. რა რაოდენობის ღვინო ან მინერალური წყალი უნდა გაყიდოს საქართველომ, რომ ეს ექსპორტზე აისახოს?! ერთ ძალიან ცუდ შედარებას გავაკეთებ – როდესაც ეკონომიკაზე საუბრობდნენ 90-იანი წლების პოლიტიკოსები და საბაზრო ეკონომიკაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ, თურმე მინერალური წყალი და ჩაი შეინახავს საქართველოსო, დაახლოებით ეგეთი განცხადებებია ახლაც. როგორ შეიძლება, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში ადამიანი ლაპარაკობდეს ქვეყნის მხოლოდ ღვინისა და მინერალური წყლების საექსპორტო პოტენციალის ზრდის ასახვის დინამიკაზე, როდესაც ხედავ, რა ხდება რეგიონში, ზოგადად ეკონომიკურ ტენდენციებში. ეს არის კარგი, მაგრამ ძალიან მიკროპარამეტრი, რომელიც გავლენას, მით უმეტეს ვალუტაზე, ვერ მოახდენს. მთელმა საქართველომ, 3.750.000 კაცმა რომ ღვინო მოიყვანოს და მარტო ღვინო გავყიდოთ, მაინც ვერ აისახება, იმიტომ, რომ ჩვენს ტერიტორიაზე არ მოვა მაგდენი ღვინო ფიზიკურად, რომ გაყიდო მაგდენი და მერე მეორეც, ეს ასახო კურსზე. ეს შეუძლებელია. ეს არის პოლიტიკური ჟონგლიორობისა და ტენდენციურობის გამოვლინება და მეტი არაფერი. შეუძლებელია, საქართველოში 2022 წელს იქმნებოდეს დოვლათი, რომლის საექსპორტო პოტენციალი ქმნიდეს რაიმე ამინდს.

***– ანუ თქვენ არ გაქვთ დადებითი მოლოდინი და აბსურდია ის, რასაც ხელისუფლება გვიზიარებს?***

– მე ვარ სტატისტიკოსი, მე ვუყურებ ციფრებს, მე მოლოდინს განვსაზღვრავ არსებული მიმდინარე მოვლენებითა და პროცესებით. მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებში მაქვს ძალიან დიდი უარყოფითი სავაჭრო სალდო, საგარეო სავაჭრო ბრუნვაში, სადაც იმპორტი რამდენიმეჯერ აღემატება ექსპორტს. როგორც გაიზარდა ექსპორტი, ისევე გაიზარდა იმპორტიც.

***– სათამაშო ბიზნესი ახსენეთ საუბრისას და იმ გადაწყვეტილებებმა, რომლებიც ხელისუფლების მიერ იქნა მიღებული, რამდენად დააზარალა ეკონომიკა და რა შედეგებს მოიტანს მომავალში?***

– სათამაშო ბიზნესის რეგულირების შედეგად 2022 წლის 1 იანვრიდან, ერთი თვის თავზე დადგა შემდეგი შედეგი: 1. ბაზარზე გაჩნდა 10-ზე მეტი უცხოური ონლაინ გემბლინგ სისტემა, კოპირებული ქართული გემბლინგ პროვაიდერების სახელით და ქართულად თარგმნილი სერვისებით; 2. დაიწყო „ექაუნთების“ გაყიდვა. 25 წელს გადაცილებული არასაჯარო მოხელე პირები ქმნიან და ყიდიან „ექაუნთებს“ არასრულწლოვნებზე, საჯარო მოხელეებზე და ასე შემდეგ; 3. შეიქმნა 50-ზე მეტი გვერდი სოციალურ ქსელში, სადაც ნებისმიერი ასაკისა და სოციალური სტატუსის მქონე ადამიანს, უბრალოდ, შეუძლია მისწეროს და გააკეთოს ფსონი (ხელზე გამაზვა გადავიდა ჩათში გამაზვაზე); 4. წახალისდა და შეიქმნა 100-ზე მეტი ე.წ. კრიპტო კაზინო, სადაც თამაში ხდება კრიპტოვალუტების მეშვეობით და ეს სფერო არის სრულიად უკონტროლო. სათამაშო ბიზნესის ამ რეგულაციებით დიდი ზიანი მიადგა ქართულ სპორტს სპონსორობისა და რეკლამირების გაჩერებით. სახელმწიფო ბიუჯეტი სათამაშო ბიზნესიდან იღებდა საერთო ბიუჯეტის 4,5%-ს და მასთან აფილირებულ სხვადასხვა კომპანიასთან გაერთიანებით ჯამურად – 12%-მდე. სათამაშო ბიზნესის რეგულირების შედეგად ქვეყანას ტოვებენ გემბლინგისა და მასთან ასოცირებული საინვესტიციო პაკეტები. ჯამურად ქვეყანა კარგავს მილიარდ ევრომდე ინვესტიციას.

***– მარტივად, მკითხველისთვის გასაგებ ენაზე რომ ავხსნათ, ეს არ იყო სწორი გადაწყვეტილება? ბევრ ადამიანს გადავარჩენთ და ვიხსნითო. ასე არ ფიქრობთ?***

– მარტივად რომ ავხსნათ, დალაგებული, ჩარჩოებში მოქცეული და დასტაბილურებული ეკონომიკური აქტორი ხდება სრულიად ქაოსური და უკონტროლო „ანდერგრაუნდ“ ბაზარი, სადაც 300%-ით გაიზრდება კრიმინალი, ფინანსური თაღლითობა, ფინანსური პირამიდები და ეს გაცილებით მეტ სოციალურ ზიანს მოიტანს საზოგადოებისთვის. ეს უფრო ზრდის ხელმისაწვდომობას აზარტულ თამაშებზე. ასევე საგრძნობლად დააზარალა ეკონომიკა. მესმის, რომ ეს არ არის პოპულარული ბიზნესი, მაგრამ ეს ბიზნესი ქმნის ეკონომიკას. ადრე ჩარჩოებში იყო მოქცეული და ახლა მორჩა, ამას ველარ გააკონტროლებს ველარავინ. უკონტროლო გახდა, რაც გაცილებით საშიშია და გაცილებით დიდი ზიანის მომტანი საზოგადოებისათვის. ხელისუფლებამ ეს კანონი უნდა გააუქმოს. კი ბატონო, რეკლამა აკრძალოს, მაგრამ დანარჩენი, რა კანონიც სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებით მიიღო, უნდა გააუქმოს.

***– როგორია თქვენი მოლოდინები ეკონომიკურ პროცესებთან დაკავშირებით?***

– ინფლაციის ფონზე 43%-ით გაგვიძვირდა ადამიანებს ცხოვრება. აქედან, 20%-მდე შეგვიმცირდა შემოსავლები. რეალურად ინფლაციის ფონზე, ყოველდღიურად ხდება ფასების ზრდა და ამის მომკითხავი, სამწუხაროდ, ქვეყანაში არავინ არ არის. პირიქით, გვესმის, რომ თურმე ყველაფერი კარგად არის, ალბათ მაღაზიებში საერთოდ არ დადიან. საერთოდ არაფერს არ აკეთებენ, ინფლაციის წინააღმდეგ არც ერთი ნაბიჯი არ გადაიდგა. ფულს კი არ უნდა ბეჭდავდნენ, ფული უნდა შემოჰქონდეთ! ორ მილიარდ ლარზე მეტია დაბეჭდილი 2021 წელს და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ!

# ნაციონალური მოძრაობა ბოიკოტს წყვეტს და პარლამენტს უბრუნდება




ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტია ბოიკოტს წყვეტს – „პირველების“ ინფორმაციით, ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო საქმიანობას უბრუნდება.

პარტიამ პოლიტიკური აქტივობები უკვე დააანონსა. არსებული ინფორმაციით, თებერვლიდან ნაციონალური მოძრაობა საგაზაფხულო სესიას დაესწრება, ერთ-ერთი მთავარი და პირველი საკითხი კი მიხეილ სააკაშვილის მიმართ განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემსწავლელი კომისიის შექმნა იქნება.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ხატია დეკანოიძის განცხადებით, კონკრეტული გეგმების შესახებ განცხადება ორშაბათს 12 საათზე გაკეთდება.

– მივიღეთ გადაწყვეტილება, როგორი იქნება ჩვენი პარტიული და ფრაქციული სტრატეგია გაზაფხულზე. ახლა ძალიან აქტიური პოლიტიკური სეზონი იწყება. ეს იქნება ფართო სტრატეგია, რომელსაც მე პირადად ორშაბათს წარმოგიდგენთ, მათ შორის, საპარლამენტო, პარტიულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ჩვენ ჩამოვყალიბდით და ეს იქნება ძალიან აქტიური სეზონი, როდესაც პრინციპული საკითხები უნდა გადაწყდეს, პირველი ეს უნდა იყოს მიხეილ სააკაშვილის თავისუფლების, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მის მიმართ არაადამიანური, ღირსებაშემლახავი მოპყრობის სახელმწიფოს მხრიდან ყველანაირი ინსტრუმენტის მხილება, – თქვა დეკანოიძემ.



**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# „სალომე ზურაბიშვილის ყველა გადაწყვეტილება თაღლითობას ჰგავს“

## შოთა მალაშხია: „უკრაინაში საქართველოს ბედი წყდება“

მარიამ მჭედლიშვილი

**რის გარშემო უნდა გაერთიანდეს საქართველოს საზოგადოება? რის მიღწევა უნდა პრეზიდენტს? რატომ გახდა უკრაინის მოვლენები საქართველოსთვის სასიცოცხლო? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს შოთა მალაშხიას.**

***— პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის განცხადებებით დავიწყოთ. მან ეროვნული თანხმობის პროცესში საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობაზე ისაუბრა. გამოდის, რომ პოლიტიკოსები დიალოგში ნაკლებად იქნებიან ჩართული?***

— არ ვიცი, რის თქმა უნდოდა სალომე ზურაბიშვილს. იმ დროს, როცა კრიზისია კოვიდთან ბრძოლაში, ეკონომიკაში, უმწვავესია მდგომარეობა უკრაინაში, სადაც ჩვენი ბედიც წყდება, სხვა საკითხებზე ლაპარაკი, არა მგონია, სწორი იყოს. ამ პრეზიდენტის ყოველი აქტივობა და გამოსვლა თაღლითობას ჰგავს. მან შესანიშნავად იცის, ვინ დასვა სავარძელში და ვის წინაშეა ანგარიშვალდებული. ის არ არის ხალხის მიერ სამართლიანად არჩეული პრეზიდენტი. სალომე ზურაბიშვილი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში არასწორ გადაწყვეტილებებს იღებდა, არასწორად იქცეოდა, ზვიად გამსახურდიას დიქტატორს ეძახდა. ეს ადამიანი მიესალმა მის დამხობას. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებაზე სწორი რეაქცია ჰქონდა. გვეგონა, რომ ამ კანონპროექტს ვეტოს დაადებდა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. არადა, ეს მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული. ამას არ სჭირდებოდა ეროვნული თანხმობა. სალომე ზურაბიშვილმა ვეტოსგან თავი შეიკავა. როგორც ჩანს, ყოველთვის იქცევა ისე, როგორც პირადად მას სჭირდება და მისთვის იქნება კომფორტული. ე.წ. ეროვნული თანხმობის პროცესი იმიტომ წამოიწყო, რომ გარე პარტნიორებს აჩვენოს, დიალოგს ვაწარმოებ, ხალხს ვხვდებიო. ზურაბიშვილის აქტიურობა ყოველთვის მოჩვენებითია.

***— აღნიშნეთ, რომ უკრაინაში საქართველოს ბედიც წყდება. ავტორიტეტული ადამიანები დასავლეთიდან ირწმუნებიან, რომ რუსეთის ჯარი უკრაინაში თებერვალში შეიჭრება. ამასთან, დასავლელი სამხედრო ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსეთს არ გააჩნია ფართო ხანგრძლივი ომის რესურსები.***

— რესურსები მართლაც არ გააჩნია. აქამდეც დიდი ზარალი ნახა რუსეთმა. პუტინი ნებისმიერ შემთხვევაში წაგებულია. მარცხის წინ შეიძლება პუტინმა თავი გაიგიჟოს და ომი ცადოს. ბაიდენმა ზელენსკის განუცხადა, რომ რუსეთი შეჭრას აპირებს. უკრაინა არის ის თემა, რომლის გარშემოც უნდა დავირაზმოთ მთელი საზოგადოება. პრეზიდენტიც ამაზე უნდა ლაპარაკობდეს და ხელისუფლების სხვა განშტოებებიც. სამართლიანობაც მოითხოვს, რომ უკრაინის მხარეს დავდგეთ. გარდა ამისა, ნუ დაგვავიწყდება, რომ უკრაინელები აფხაზეთის ომის დროსაც ჩვენ მხარეს იდგნენ, იბრძოდნენ კიდეც. 2008 წლის აგვისტოში უკრაინის, ბალტიისპირეთის სახელმწიფოებისა და პოლონეთის პირველი პირები საქართველოში ჩამოვიდნენ. ისინი გვერდით დაგვიდგნენ რუსეთის აგრესიის დროს. პრაგმატული თვალსაზრისითაც გვეკუთვნის თანაგრძნობა და თანადგომა უკრაინის მიმართ. ახლა იქ, უკრაინის გარდა, საქართველოს ბედი წყდება. შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიოს მომავალი ირკვევა. 2008 წელს ბევრი რამ გაურკვეველი იყო. ამჟამად სხვა სიტუაციაა და დასავლეთში ბევრი ნანობს, რომ ბუქარესტის ნატოს სამიტის დროს უკრაინასა და საქართველოს მეტი ყურადღება არ დაუთმეს. საქართველოსა და უკრაინისათვის რომ მეტი მიეცათ, ახლა სხვა მსოფლიო გვექნებოდა. ამას ამბობენ ჩვენი პარტნიორები. ამ დროს როგორ იქცევა საქართველოს ხელისუფლება?! შეიმუშავეს რეზოლუციის პროექტი, სადაც რუსეთი საერთოდ არ არის ნახსენები. წმინდა წყლის რუსული ხელისუფლებისაგან ეს გასაკვირი არც არის. საქართველოს ხელისუფლება 2008 წლის ომს საქართველოს აბრალებს, უკრაინის შემთხვევაში კი აგრესორს არ ასახელებს. ამ ტექსტს თუ დავუკვირდებით, ვერ გავიგებთ, რაზეა საუბარი. თითქოს უკრაინელებს ერთმანეთში სამოქალაქო კონფლიქტი აქვთ და ესენი მშვიდობისკენ მოუწოდებენ. ამ დროს რუსეთს უკრაინის ერთი ნაწილი ოკუპირებული აქვს, მეორე — ანექსირებული. ახლა 100.000-იანი ჯარით დგას უკრაინის საზღვართან. ამას დაუმატა საჯარისო ნაწილები ბელარუსში. საქართველოს ჰყავს რუსული ხელისუფლება ქართული გვარებით. ეს ხელისუფლება რუსეთის აგრესიაზე ხმას ვერ იღებს. პუტინის საქმე კი წასულია. ქვეყნის შიგნითაც პრობლემები აქვს.



**„საქართველოს ხელისუფლება 2008 წლის ომს საქართველოს აბრალებს, უკრაინის შემთხვევაში კი აგრესორს არ ასახელებს“**

***— რას გულისხმობთ?***

— რუსეთის ხელისუფლებას საზოგადოების აზრი არ აინტერესებს. მისი ერთ-ერთი საყრდენია ადგილობრივი ოლიგარქები. მათ პუტინის ბოლო აქტივობა ძალიან ძვირად დაუჯდათ. ამ მდიდართა დაჯგუფებამ დაკარგა 27 მილიარდი დოლარი. რუსეთის მილიარდერები უკმაყოფილო არიან. გარდა ამისა, პუტინი ჩიხშია — რით უნდა ახსნას მოძმე და მონათესავე უკრაინაზე თავდასხმა? რა უნდა უთხრას რუს ჯარისკაცებს, რომლებმაც იქ სისხლი უნდა დაღვარონ?! პუტინს მოტივაცია არა აქვს. სხვა მდგომარეობაშია უკრაინა, რომლის ისტორიულ მეხსიერებას შემორჩა გენოციდი. 6 მილიონი უკრაინელი რუსეთმა შიმშილით ამოხოცა. უკრაინის ჯარს სხვა შემართება აქვს. 50.000 მარტო ქალი აპირებს ბრძოლას. ამდენმა ქალმა გამოთქვა სამშობლოს დაცვის სურვილი. ვფიქრობ, რომ პუტინის ხულიგნურ გამოხდომებს წერტილი ესმება. ეს იქნება წერტილი მთელი საერთაშორისო საზოგადოებისათვის, მით უმეტეს — უკრაინისა და საქართველოსთვის. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბედი ახლა წყდება. უკრაინაში დგება დრო, როცა უნდა დაიწყოს ამ პრობლემის მოგვარება. აი, რაზე უნდა იყოს საზოგადოების კონსოლიდაცია და პრეზიდენტის მთავარი აქცენტი. თუ რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, პუტინის რეჟიმის დასამარება დაჩქარდება.

***— სანქციებითაც?***

— სანქციებითაც, რომელსაც პუტინს ჰპირდებიან შეჭრის შემთხვევაში. ეკონომიკურადაც ჩამოიშლება რუსეთი. დასავლეთი კონსოლიდირებულია ამ საკითხში. პუტინის მუქარების შედეგად ცივილიზებული მსოფლიო გაერთიანდა რუსეთის წინააღმდეგ. კეთდება განცხადებები, რომლებიც ძალიან გვჭირდება. ნატოს გენმდივანი სტოლტენბერგი აცხადებს, რომ რუსეთმა უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები უკრაინიდან, საქართველოდან და მოლდოვიდან. ნატოს მაღალჩინოსანი ჩვენზე ლაპარაკობს და ამ დროს საქართველოს ხელისუფლება ყურსაც არ იბერტყავს.

***— ამ განცხადებაზე მაინც უნდა ყოფილიყო გამოხმაურება?***

— საქართველოზე ლაპარაკობენ სხვები, საქართველოს ხელისუფლება კი დუმს. საქართველოზე რომ საუბრობენ, იმასაც არაფერს ამატებს.

***— სხვა ჯგუფები ანტიდასავლურ კამპანიას ეწევიან. მათი პროპაგანდის თანახმად, დასავლეთმა უკრაინა და საქართველო მიატოვა.***

— ეს ჯგუფები არიან პრორუსული ხელისუფლების გამონაზარდები. რა მნიშვნელობა აქვს, რას იტყვიან ისინი თავიანთ კაბინეტებსა და ტელევიზიებში! რუსეთის მხარეს დადგომა საცოდაობაა. ჩვენ უნდა ვიფიქროთ ამ ხელისუფლების შეცვლასა და საქართველოს დაბრუნებაზე საერთაშორისო ორბიტაზე. პუტინმა ციმბირიდან და შორეული აღმოსავლეთიდან მოხსნა ჯარი იმისთვის, რომ უკრაინის მისადგომებთან ჩააყენოს. ომიც საშინელება იქნება პუტინისთვის და ამ ჯარის უკან დაბრუნებაც. რუსეთის მილიარდერებისთვის ორივე ზარალის მომტანია. ომის შემთხვევაში ყველაფერი დაჩქარდება.

***— დასავლელი ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ მუქარის შეუსრულებლობის შემთხვევაში პუტინის მუქარებს სერიოზულად აღარავინ მიიღებს.***

— მეც ამის თქმა მინდა. სტალინიც კი ვერ აკონტროლებდა ყველაფერს. პუტინი მასზე ბევრად ნაკლებად აკონტროლებს სიტუაციას. პუტინი კორუმპირებული და სუსტი ქვეყნის ბელადია. აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის, დონბასის ოკუპაციით კრემლმა ვერანაირი დივიდენდი ვერ მიიღო. ჩვენ გვაზარალა, მაგრამ თვითონაც ვერ გამოვიდა გამარჯვებული. თუ კიდევ ჩაიდენს რამეს, ვერ აამუშავებს „ჩრდილოეთ ნაკადი-2“-ს, რომელზეც დიდ იმედს ამყარებს და ყველანაირად დაზარალდება. ამ სიტუაციაში „ქართული ოცნების“ უმრავლესობა პარლამენტში ვერ წერს რეზოლუციის ნორმალურ ტექსტს, რომელიც ეხება უკრაინას. უმრავლესობის წევრები ამბობენ, რომ სურთ, შეაჩერონ აგრესია. აგრესიას აშშ და ევროკავშირი ვერ აჩერებენ და ამათ მოუნდათ თავიანთი წყალწყალა ტექსტით აგრესიის შეჩერება აგრესორის დასახელების გარეშე. უკრაინა ჩვენთვის მოძმე სახელმწიფოა. ამას ყველა ვერ ხვდება. პირადად მე უკრაინის ისტორიაზე დოკუმენტური ფილმები მაქვს გადაღებული. უკრაინის ციკლი საქართველოს ოკუპაციის შესახებ ფილმებთან ერთად 24 იანვარს საქართველოშიც გავიდა და მალე უკრაინულ „ტვ 5“-ზეც იქნება ნაჩვენები.

# ირაკლი ღარიბაშვილი ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის გახსნაზე: „ჩვენი მთავრობის მთავარი პრიორიტეტი არის საქართველოს, როგორც რეგიონული ჰაბის, ფორმირება“

— ჩვენი მთავრობისთვის მთავარი მიზანი და ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი არის საქართველოს, როგორც რეგიონული ჰაბის ფორმირება და ჩვენი მდებარეობის, ჩვენი პოტენციალის სრული რეალიზაცია.

ამიტომ, რა თქმა უნდა, ჩვენი მთავრობა ამ პროექტის დაწყების პირველივე დღიდან სრულ მხარდაჭერას ვუცხადებდით და კიდევ ერთხელ ვუდასტურებთ მხარდაჭერას კომპანია „პეისს“ და მის თითოეულ თანამშრომელს.

ამის შესახებ 29 იანვარს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

პრემიერ-მინისტრმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ნათია თურნავასთან, აშშ-ის ელჩ კელი დეგნანთან და „პეის ჯგუფის“ პრეზიდენტ იოსებ დოლიძესთან ერთად, ახალი საზღვაო ნავსადგური დაათვალიერა, რომელიც „პეის ჯგუფისა“ და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების ფინანსური კორპორაციის ერთობლივი ძალისხმევით აშენდა.

ნავსადგურის მშენებლობის ფარგლებში განხორციელდა 93 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია, აშენდა მასშტაბური ჰიდროტექნიკური ნაგებობები და მოეწყო თანამედროვე საპორტო ინფრასტრუქტურა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ კომპანია „პეისის“ მხრიდან ფოთის ახალი ნავსადგურის მასშტაბური მშენებლობა 2020 წლიდან მიმდინარეობდა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტია რეგიონისთვის.

მისივე თქმით, მშენებლობის პროცესში შეიქმნა ასობით ახალი სამუშაო ადგილი.

— დღეს მართლაც დიდებული დღეა! ვულოცავ კომპანია „პეისს“, მის თითოეულ თანამშრომელს ასეთი მასშტაბური პროექტის წარმატებით განხორციელებას!

მოგეხსენებათ, 2020 წლიდან კომპანია „პეისის“ მხრიდან მიმდინარეობდა ფოთის ახალი ნავსადგურის მასშტაბური მშენებლობა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტია რეგიონისთვის. დღეის მდგომარეობით, განხორციელებული ჯამური ინვესტიცია შეადგენს 93 მილიონ ამერიკულ დოლარს, რომელიც ორივე ფაზის დასრულების შემდეგ 120 მილიონ დოლარამდე გაიზრდება.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორის, ამერიკის შეერთებული შტატების ჩართულობა პროექტში. კერძოდ, აშშ-ის ფედერალური მთავრობის საერთაშორისო ფინანსური განვითარების კორპორაციიდან გამოყოფილ იქნა დაფინანსება 50 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რაც კიდევ ერთი გამოხატულებაა, რომ საქართველო უცხოური ინვესტიციებისთვის მიმზიდველი ქვეყანაა და რომ ის წარმოადგენს რეგიონში უდიდესი სატრანზიტო და სატრანსპორტო პოტენციალის მქონე ქვეყანას.




მე მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ბატონ სოსო დოლიძეს, რომელმაც თავის გუნდთან ერთად ეს არაჩვეულებრივი, მასშტაბური პროექტი განახორციელა ჩვენი ქვეყნისთვის.

მინდა ასევე აღვნიშნო, რომ კომპანია „პეისი“ წარმატებით საქმიანობს უკვე 30 წელია, დღეს არის ამ კომპანიის იუბილე და ვულოცავ თითოეულ მის თანამშრომელს.

კომპანიაში დასაქმებულია 1.000-ზე მეტი ადამიანი, ხოლო კომპანიის ოპერირებაში მყოფი არსებული ნავმისადგომების ყოველწლიური საშუალო ტვირთბრუნვა 3 მილიონ ტონას შეადგენს, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პროექტის სრულად დასრულების შემდეგ საქართველოს ერთიანი სანავსადგურე ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა 3.5 მილიონი ტონით გაიზრდება.

შეხვედრაზე მადლენ ოლბრაიტის წერილი წაიკითხეს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის პროექტი საქართველოსა და აშშ-ის პარტნიორობისა და ორმხრივი ერთგულების დემონსტრაციაა.

მადლენ ოლბრაიტმა საქართველოს მთავრობას, „პეის ჯგუფსა“ და აშშ-ის განვითარების კორპორაციას ახალი ნავსადგურის გახსნა მიულოცა.

სტუმრებმა ასევე მოისმინეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების ფინანსური კორპორაციის მმართველი დირექტორის კენეტ ენჯელის ვიდეომიმართვა.

# დავით ნარმანია: „სისულელე დაწერეს, ჩემი ცოლი კომპანიის მხოლოდ დირექტორია, მეტი არაფერი“



თბილისის ყოფილი მერი, სემეკის თავმჯდომარე დავით ნარმანია უარყოფს ინფორმაციას, რომ 2019 წელს საბადურის ტყეში არსებული 10 ჰექტარი მიწის ფართობი მისი მეუღლის, თინა თინიკაშვილის კომპანიას გადაეცა.

ნარმანიას მტკიცებით, მისი ცოლი შპს „საბადური ვილაჯეს“ არა მფლობელი, არამედ დანიშნული დირექტორია.

— სისულელე დაწერეს, სისულელეა და შეგიძლიათ თქვათ. ჩემი მეუღლე მაგ კომპანიაში მუშაობს, როგორც დანიშნული დირექტორი, მეტი სხვა არაფერი. შესაბამისად, ეგ შეგიძლიათ თქვათ და სხვა დანარჩენი, რაც გავრცელდა არის აბსოლუტური სისულელე, — თქვა დავით ნარმანიამ.

საბადურის ტყეში არსებული 10 ჰექტარი მიწის ფართობი დავით ნარმანიას მეუღლის, თინა თინიკაშვილის კომპანიას 2019 წელს გადაეცა. სანაცვლოდ კომპანიას გარკვეული ვალდებულებები უნდა შეესრულებინა, კერძოდ კი 4 მილიონი ლარის ტურისტული ინვესტიცია უნდა განეხორციელებინა, თუმცა ვალდებულებები რომ ამ დრომდე არ შესრულებულა, ამას ადგილობრივებიც ადასტურებენ.

იურიდიულ მისამართზე, სადაც თინა თინიკაშვილის კომპანიაა დარეგისტრირებული, საცხოვრებელი ბინაა.

ბინის მეპატრონე ამბობს, რომ არც დავით ნარმანიას იცნობს და არც — მის მეუღლეს.

# გლდანში 1 ოჯახის 5 წევრი დაიღუპა

## მათ შორის 3 ბავშვია

გლდანში, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის ნამწვით ინტოქსიკაციის შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა.

გარდაცვლილია 3 მცირეწლოვანი და 2 მოზრდილი.

შემთხვევა რამდენიმე დღის წინ გლდანის მე-2 მიკრორაიონის 47ა კორპუსში მოხდა.

დაღუპულები ერთი ოჯახის წევრები – დედ-მამა და სამი არასრულწლოვანი არიან.

ადგილობრივების ინფორმაციით, ოჯახი ბინაში რამდენიმე დღის გადასული იყო და ქირით ცხოვრობდა.

გარდაცვლილები არიან 32 წლის ირაკლი შანიძე, მისი მეუღლე, ასევე 32 წლის რუსუდან ზაალიშვილი და მათი შვილები – 6 წლის მარიამი, 5 წლის დარეჯანი და 12 წლის დავითი.

ისინი ხობის მუნიციპალიტეტ სოფელ შუა ქვალონის მკვიდრნი არიან. 32 წლის ირაკლი შანიძე, მეუღლესთან და შვილებთან ერთად, თბილისში ქირით ცხოვრობდა. ამ კონკრეტულ ბინაში კი ოჯახი 3 დღის გადმოსული იყო.

ინფორმაცია „პრაიმტაიმს" სოფელ შუა ქვალონის რწმუნებულმა ცოტნე დადიანმა დაუდასტურა. იგი ოჯახში იმყოფებოდა.

– დეტალები არაფერი არ ვიცით, ტრაგედია მოხდა, – თქვა მან.

ოჯახის წევრები, სავარაუდოდ, 3 დღის გარდაცვლილები იყვნენ. ცხედრები 29 იანვარს ერთ-ერთი გარდაცვლილის დამ აღმოაჩინა, რომელიც ოჯახთან დაკავშირებას 2 დღის განმავლობაში ცდილობდა.

მომხდარ ფაქტზე შსს-მ გამოძიება 240-ე პრიმა მუხლის მესამე ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს უსაფრთხოების წესების დარღვევას, რასაც ორი ან მეტი პირის გარდაცვალება მოჰყვა.

გლდანში მომხდარ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით „თბილისი ენერჯიმ" ინფორმაცია გაავრცელა.



„უბედური შემთხვევა მოხდა. გლდანის 2 მ/რ-ში, ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში, 3 მცირეწლოვანი და 2 ზრდასრული ადამიანი გარდაიცვალა.

**„გაზქურის ღუმელი ღია და ანთებულ მდგომარეობაში იყო"**

საგანგებო სიტუაციების სამსახურის თანამშრომლების ინფორმაციით, ბინაში შესვლისას მათ გაზქურის ღუმელი ღია და ანთებულ მდგომარეობაში დახვდათ. უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით გაზქურისა და მისი ღუმელის გათბობის მიზნით გამოყენება კატეგორიულად დაუშვებელია. ასეთი შემთხვევის დროს ბინაში ცეო-ს დაგროვება ხდება, რაც სიცოცხლისთვის სახიფათოა.

ჩვენი სპეციალისტების მიერ პირველადი დათვალიერების შედეგად, სავარაუდოა, რომ აღნიშნული ფაქტი ამ უბედური შემთხვევის გამომწვევი მიზეზი გახდა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გამოძიება და მისი დასრულების შემდეგ უკვე დაზუსტებით გვექნება პასუხი მომხდარი ფაქტის გამომწვევ მიზეზებზე.

გთხოვთ, არ გარისკოთ თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების სიცოცხლით, ნუ გამოიყენებთ აკრძალულ დანადგარებსა და გაზქურას გასათბობად. დაიცავით უსაფრთხოების წესები", – ნათქვამია „თბილისი ენერჯის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# მესტიასა და მარტვილში 2 პირი დააკავეს

## ამოღებულია იარაღი



შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიისა და მარტვილის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა 1979 წელს დაბადებული ბ.ფ. და 1949 წელს დაბადებული ა.ლ. დააკავეს. დაკავებულებს ბრალი ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვაში ედებათ.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„სამართალდამცველებმა მესტიის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, ბ.ფ.-ის საცხოვრებელ სახლში არსებული სამალავიდან, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 4 მჭიდი და 100 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

რაც შეეხება ა.ლ.-ს, პოლიციამ მარტვილის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში მდებარე სათავსოდან, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 6 მჭიდი, 93 ვაზნა, 4 კაფსულ-დეტონატორი და არარეგისტრირებული ორლულიანი სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღო.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს", – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# პოლიციამ 9 პირი, მათ შორის უცხოეთის 2 მოქალაქე, ნარკოდანაშაულისთვის დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბოლო პერიოდში, სხვადასხვა დროს, ნარკოდანაშაულისთვის 9 პირი, მათ შორის, 2 უცხოელი, დააკავეს.

შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 1973 წელს დაბადებულ შ.ა.-ს, 1975 წელს დაბადებულ ბ.შ.-ს, უცხო ქვეყნის მოქალაქეს – 1988 წელს დაბადებულ ა.გ.-ს, ასევე, წარსულში ნასამართლევ პირებს: 1993 წელს დაბადებულ ე.ა.-ს და 1994 წელს დაბადებულ ე.ჯ.-ს ბრალი ედებათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში, ხოლო 1990 წელს დაბადებული გ.კ., უცხო ქვეყნის მოქალაქე – 1989 წელს დაბადებული ე. ს., 1980 წელს დაბადებული თ. ს. და 1960 წელს დაბადებული ი. დ. ნარკორეალიზაციისთვის არიან დაკავებული.

„დანაშაულები 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პოლიციამ ნარკორეალიზატორთა გამოსავლენად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენიმე ეტაპად განახორციელა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის", „ჰეროინისა" და „მარიხუანის" საკონტროლო შესყიდვები და მათი ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა. ნივთმტკიცებად ამოღებულია, სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა. სამართალდამცველებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის დაკავებული პირების საცხოვრებელი სახლისა და პირადი ჩხრეკისას, ასევე, სპეციალურად მოწყობილი სათბურიდან, ნივთმტკიცებად ამოიღეს: „ჰეროინის" შემცველი 1 კილოგრამი ნარკოტიკული ნივთიერება, 6 ამპულა „მორფინი", 5 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი", 5 ცალი კონტეინერი მასში მოთავსებული მეტადონის სითხით, ნარკოტიკული საშუალება „ლიზერგიდის" (LSD) შემცველი 300 ფირფიტა, 5 კილოგრამამდე „მარიხუანა", ნარკოტიკული საშუალება „ამფეტამინი", ასევე, 35 გრამი ნარკოტიკულ საშუალება „პსილოცინის" შემცველი სოკო.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილების „ა" ქვეპუნქტით, 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტითა და 273-ე 1-ლი პრიმა მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს", – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ხობთან სატვირთო მიკროავტობუსს დაეჯახა

## დაიღუპა ტექსტილის სამკერვალოს თანამშრომელი ქალი

29 იანვარს ხობის მუნიციპალიტეტში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა.

შემთხვევა სოფელ ბიაში მოხდა. ერთმანეთს მიკროავტობუსი და სატვირთო ავტომობილი შეეჯახნენ.

შედეგად მიკროავტობუსის მგზავრი, ახალგაზრდა ქალი ადგილზე გარდაიცვალა, ერთი პირი კი დაშავდა.

გარდაცვლილი ტექსტილის სამკერვალოს თანამშრომელი იყო. მიკროავტობუსს ფოთში სწორედ ტექსტილის თანამშრომლები გადაჰყავდა.

დაღუპული აფხაზეთიდან დევნილი მიმოზა ბულიაა.

მას მეუღლე და სამი შვილი დარჩა, ოჯახთან ერთად კი სოფელ საჯიჯაოში ცხოვრობდა.

ახლობლების ინფორმაციით, იგი ფოთში მდებარე „აჭარა ტექსტილის" სამკერვალო ფაბრიკის თანამშრომელი იყო.

– დღეს პირველად გადიოდა დანიშვნიდან სამსახურში და ასეთი ტრაგედია დატრიალდა. სახლში ჰყავს ინსულტგადატანილი მეუღლე, რომელსაც თავად უვლიდა, არ ვიცი, რა ვთქვა. ეს სამარშრუტო ტაქსი ფაბრიკის იყო. სწორედ მას მიჰყავდა, სხვა თანამშრომლებთან ერთად, ფოთში, – უთხრა „პრაიმ ტაიმს" ოჯახის ახლობელმა.

დაშავებული სხვადასხვა სახის დაზიანებით სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ჯგუფმა საავადმყოფოში გადაიყვანა.

ექიმების ინფორმაციით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია.

# ნიკა გვარამია: „ქალბატონი ნიჟარაძე აღარ მიჩივის და ვინაა დაზარალებული რუსთავი 2-ის საქმეში?"

28 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოში „რუსთავი 2"-ის საქმეზე ნიკა გვარამიას მორიგი სხდომა გაიმართა.

დისტანციურად გამოიკითხა „რუსთავი 2"-ის ყოფილი მფლობელი გიორგი ყარამანიშვილი.

პროცესს ნიკა გვარამია და მისი ადვოკატი ესწრებოდნენ.

– ვის წინაშეც ვიყავი ანგარიშვალდებული, ის ადამიანი დღემდე ჩემ წინააღმდეგ პრეტენზიებს არ გამოთქვამს. „რუსთავი 2„" დაზარალებული შეიძლება იყოს, თუ ჩემ დროს არსებული მფლობელები ამაში მედავებიან. არც ერთი მფლობელი ამაში არ მედავება და ქიბარ ხალვაში რომ შემედავებოდა, მე საიდან უნდა მცოდნოდა?! ქიბარ ხალვაშის აზრებს ხომ არ ვიკითხავდი ყველა გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ამიტომ ფინანსურ დანაშაულში დაზარალებული არ არსებობს, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

საქმის პროკურორის თქმით, გიორგი ყარამანიშვილის გამოკითხვამ დაადასტურა, რომ ის პოზიცია, რასაც ბრალდებულები და ადვოკატები აცხადებენ, არ შეესაბამება სიმართლეს.



– ბრალდებულები ყოველთვის იძახდნენ, რომ თითქმის დამფუძნებელთან იყო ყველაფერი შეთანხმებული, მათ შორის ის ყოველთვიური შეთანხმებები, რომლებითაც „რუსთავი 2?-ის კუთვნილი ქონებრივი უფლება გაიფლანგა, თუმცა დღეს გიორგი ყარამანიშვილმა განმარტა, რომ მსგავსი დეტალები მასთან შეთანხმებული არ ყოფილა და არ იყო ინფორმირებული იმ ეტაპზე, როდესაც აღნიშნული შეთანხმებები ფორმდებოდა. ამით კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა, რომ ის პოზიცია, რომელსაც ბრალდებულები და ადვოკატები აჟღერებდნენ, არ შეესაბამებოდა სიმართლეს, – აღნიშნა საქმის პროკურორმა ზვიად გუბელაძემ.

ნიკა გვარამიას თქმით, მისი გენერალური დირექტორობის დროინდელი „რუსთავი 2"-ის არც ერთი მფლობელი არ ედავება და გაუგებარია საერთოდ, ვინ არის დაზარალებული:

– ქალბატონმა ნიჟარაძემ გაიტანა სამოქალაქო სარჩელი ჩემს წინააღმდეგ, ანუ აღარ მედავება ზიანის მიყენებაში, ახლა უკვე მაინტერესებს, ვინ არის დაზარალებული ამ საქმეში. დაზარალებული არ არსებობს ფინანსურ დანაშაულში. ვერ ვხვდები, უკვე როგორ უნდა მედავონ, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

ნიკა გვარამიას პროკურატურა „რუსთავი 2"-ის დირექტორობის დროს სამაუწყებლო კომპანიის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და მისი კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის სამსახურებრივი მდგომარეობით გამოყენებას ედავება.

შემდეგი სხდომა 2 თებერვალს დაინიშნა.

# ნონა გაფრინდაშვილის სარჩელის გაუქმების მოთხოვნა კალიფორნიის მოსამართლემ ნეტფლიქსს არ დაუკმაყოფილა

კალიფორნიის სასამართლოს მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ნეტფლიქსის შუამდგომლობა, გაეუქმებინა ქართველი მოჭადრაკის ნონა გაფრინდაშვილის მიერ შეტანილი სარჩელი.

ნეტფლიქსი სამართალწარმოების შეწყვეტას ითხოვდა, რადგან ამტკიცებდა, რომ სერიალი არის მხატვრული ნაწარმოები და მის შემქმნელებს კანონი ფართო მხატვრულ ლიცენზიას ანიჭებს.

თუმცა, აშშ-ის კალიფორნიის შტატის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ვირჯინია ფილიპსი ამ მოთხოვნას არ დაეთანხმა.

„ის ფაქტი, რომ სერიალი გამოგონილია, არ იცავს ნეტფლიქსის ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობისგან", – ნათქვამია მოსამართლის გადაწყვეტილებაში.

ქართველმა მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილმა ნეტფლიქსის წინააღმდეგ სარჩელი გასული წლის სექტემბერში შეიტანა. საქმე ეხება სერიალ „ლაზიერის გამბიტში" გაჟღერებულ ფრაზას, რომ ნონა გაფრინდაშვილი მამაკაც მოჭადრაკეს არასდროს დაპირისპირებია.

ქართველი მოჭადრაკე ამერიკული კომპანიისგან ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ 5 მილიონ დოლარს მოითხოვს.

# სიღნაღში 68 წლის ქალი მოკლეს

## ეჭვმიტანილი თბილისში დააკავეს

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯუგაანში 68 წლის ქალი მოკლეს.

ირკვევა, რომ 68 წლის ლეილა ბეგიაშვილს მისივე თანასოფლელი დაესხა თავს.

თავდამსხმელი ქალის საცხოვრებელი სახლის ეზოში იყო შესული, როდესაც მხარეებს შორის ყოფით ნიადაგზე ურთიერთშელაპარაკება მოხდა.

ამის შემდეგ კაცმა ქალს სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა.

გარდაცვლილს ჭრილობები კისრისა და თავის არეში ბლაგვი საგნით, ასევე, ცივი იარაღით ჰქონდა მიყენებული.

ქალმა საშველად ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ მეუღლეს დაუძახა, თუმცა ადგილზე მისულ ქმარს ის უკვე გარდაცვლილი დახვდა.

მკვლელობის შემდეგ თავდამსხმელი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ის მოგვიანებით სამართალდამცავებმა თბილისში დააკავეს.

დაკავებული დანაშაულს აღიარებს. ის წარსულში ნასამართლევია და შეწყალებით არის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებული.

შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულმა ჯუგაანში ქალს, მისსავე საცხოვრებელ სახლში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ჭრილობები მიაყენა, მიყენებული დაზიანებების შედეგად ლ.ბ. გარდაიცვალა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი მ.მ. დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 29 იანვარს, სიღნაღის რაიონის სოფ. ჯუგაანში, 1954 წელს დაბადებულ ქალს, მისსავე საცხოვრებელ სახლში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ჭრილობები მიაყენა. მიყენებული დაზიანებების შედეგად ლ.ბ. გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ღონისძიებების შედეგად მ.მ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს", – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

# საფოსტო გზავნილში 150 ოქროს მონეტა იპოვეს

მებაჟე ოფიცრებმა საფოსტო გზავნილში არადეკლარირებული 150 ცალი ოქროს მონეტა აღმოაჩინეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ცნობით, საბაჟო გამშვებ პუნქტებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში, მკაცრ მონიტორინგს ექვემდებარება საბაჟო კონტროლის პროცედურები, როგორც საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლების, ისე სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის/საფოსტო გზავნილების მიმართ.

„აღნიშნული კონტროლის ფარგლებში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გაფორმების ეკონომიკური ზონა „აეროპორტის" მებაჟე ოფიცრების მიერ, ეჭვის საფუძველზე, საფოსტო გზავნილის დათვალიერების შედეგად, დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს მონეტების (150 ცალი) მალულად შემოტანის ფაქტი აღიკვეთა. საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 196.045, 152 ლარი შეადგინა.

საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა", – ნათქვამია ინფორმაციაში.

# ბაიდენი აშშ-ის ჯარს აღმოსავლეთ ევროპაში გადაიყვანს

აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებით, უახლოეს მომავალში აღმოსავლეთ ევროპისა და ნატოს ქვეყნებში აშშ-ის ჯარების გადაყვანა იგეგმება.

პენტაგონს დაახლოებით 8.500 ამერიკელი ჯარისკაცი ევროპაში შესაძლო განლაგების მიზნით მზადყოფნაში ჰყავს.



– უახლოეს პერსპექტივაში მე გადავიყვან ჯარებს აღმოსავლეთ ევროპასა და ნატოს ქვეყნებში, თუმცა არც ისე ბევრს, – განუცხადა ბაიდენმა ჟურნალისტებს ვაშინგტონში დაბრუნებისას.

მანამდე პენტაგონის სპიკერმა ჯონ კირბიმ განაცხადა, რომ 8.500-მდე ამერიკელი ჯარისკაცი გაძლიერებულ მზადყოფნაშია მოყვანილი აღმოსავლეთ ევროპაში შესაძლო განლაგების მიზნით.

მისი თქმით, აშშ-ის ჯარების დიდი ნაწილის გაძლიერებულ მზადყოფნაში მოყვანის მიზანია ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების გაძლიერება.

მან დასძინა, რომ ისინი მზად იქნებიან ნებისმიერი სხვა საგანგებო სიტუაციისთვისაც.

# სერჯიო მატარელა იტალიის პრეზიდენტად ისევ აირჩიეს

სერჯიო მატარელა იტალიის პრეზიდენტად მეორე ვადით აირჩიეს.

80 წლის მატარელა იტალიის პრეზიდენტის პოსტის დაკავებას კიდევ 7 წლის განმავლობაში შეძლებს.

მას არჩევნებში მონაწილეობა აღარ სურდა, თუმცა პრემიერ-მინისტრმა მარიო დრაგიმ დაარწმუნა, რომ ქვეყნის სტაბილურობისთვის მისი თანამდებობაზე დარჩენა უკეთესი იქნებოდა. ამასთან, კოალიციურმა პარტიებმა სხვა კანდიდატის თაობაზე შეთანხმების მიღწევა ვერ შეძლეს.

მატარელამ აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობას იზიარებს და ქვეყნის განვითარებისთვის ყველაფერს გააკეთებს.

იტალიაში პრეზიდენტს 1.009 სენატორისგან შემდგარი საარჩევნო კოლეგია ფარული კენჭისყრით ირჩევს.

# კიევში აშშ-ის საელჩო ამერიკელებს უკრაინის დატოვებისკენ მოუწოდებს

კიევში აშშ-ის საელჩო რუსეთის აგრესიის საფრთხის გამო ამერიკის მოქალაქეებს ქვეყნის დატოვებისკენ მოუწოდებს.

აშშ-ის საელჩოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, რუსეთის სამხედრო ქმედების გამო უკრაინაში ვითარება არაპროგნოზირებადია და უახლოეს მომავალში, შესაძლოა, კიდევ უფრო გაუარესდეს.




ინფორმაციაში ასევე აღნიშნულია ის შესაძლო გზები, რომლებითაც უკრაინის სახმელეთო საზღვრის დატოვებაა შესაძლებელი და ჩამოთვლილია ის რეგულაციები, რომლებიც უკრაინის მეზობელ ქვეყნებში – პოლონეთში, სლოვაკეთში, უნგრეთში, რუმინეთსა და მოლდოვაში მოქმედებს.

# ისრაელის პრეზიდენტი არაბთა საამიროებს ეწვია

## ისტორიული ვიზიტი

ისრაელის პრეზიდენტი ისააკ ჰერცოგი ისტორიული ვიზიტით არაბთა გაერთიანებულ საამიროებს ეწვია.

ჰერცოგი ისრაელის პირველი პრეზიდენტია, რომელიც გაერთიანებულ საამიროებში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა.

მისი თქმით, ის ქვეყანას პრინც შეიხ მუჰამედ ბინ ზაიდის პერსონალური მიწვევით ესტუმრა.

– არაბთა გაერთიანებულ საამიროებში პრინცმა შეიხ მუჰამედ ბინ ზაიდმა პერსონალურად მიმიწვია. მე მადლიერი ვარ მისი გამბედაობის, ისრაელთან სამშვიდობო შეთანხმების გაფორმებისა და მთელ რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად მესიჯის გაგზავნისთვის, რადგან რეგიონის ხალხს სხვა ალტერნატივა არ აქვს, – განაცხადა მან.

ისრაელსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ ისრაელის პრემიერ-მინისტრი ნაფტალი ბენეტი საამიროებს პირველად 2021 წლის დეკემბერში ეწვია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# განძის მაძიებელმა უიშვიათესი მონეტა აუქციონზე გაყიდა



ინგლისის დევონის საგრაფოში, სოფელ ჰემიოკის მახლობლად, განძის მაძიებელმა უიშვიათესი ძველი მონეტა იპოვა და შემდეგ აუქციონზე 648 ათას ფუნტ სტერლინგად გაყიდა.

მაიკლ ლი-მელორი ათი წლის განმავლობაში პირველად გავიდა მინდორში ლითონმაძიებლით. მამაკაცმა შედეგად იპოვა ოქროს პენი, რომელზეც მეფე ჰენრი III იყო გამოსახული გვირგვინითა და წვერით. მონეტის დიამეტრი 21 მილიმეტრს შეადგენდა.

განძისმაძიებელმა არ იცოდა, რომ მონეტა დიდ იშვიათობას წარმოადგენდა, სანამ მისი ფოტოსურათი ფეისბუქში არ გამოაქვეყნა. ის იქ ლონდონის ერთ-ერთი აუქციონის კომპანიის სპეციალისტმა შენიშნა. აღმოჩნდა, რომ სულ რვა მსგავსი მონეტის არსებობის შესახებ იყო ცნობილი. დანარჩენი ეგზემპლარები ლონდონში ბრიტანეთის მუზეუმში, კემბრიჯში ფიცუილიამის მუზეუმსა და კერძო კოლექციებში ინახებოდა.

ნუმიზმატები ამტკიცებენ, რომ მონეტაზე ვილჰელმ I-ლი დამპყრობლის დროიდან ინგლისის მეფის პირველი ნამდვილი პორტრეტია გამოსახული. მონეტის მეორე მხარეზე გამოსახულია ჯვარი, წერტილები და ვარდი.

აუქციონზე მონეტის ფასმა 540 ათას ფუნტ სტერლინგს მიაღწია, ხოლო დამატებითი მოსაკრებლებით ფინალურმა თანხამ, რომელიც ბრიტანელმა კერძო პირმა გადაიხადა, 648 ათასი ფუნტი სტერლინგი შეადგინა. ეს მსოფლიო რეკორდის ჰენრი III-ის ეპოქის მონეტისთვის. მისი მყიდველი აპირებს, ის საგამოფენოდ გადასცეს რომელიმე მუზეუმს ან მსგავს დაწესებულებას.

# მამაკაცმა მეგობარი ქალის გადასარჩენად თავი გაწირა

ინგლისის ლანკაშირის საგრაფოს ქალაქ ბლეკპულში მამაკაცმა საკუთარი სიცოცხლე გაიღო მსხვერპლად მეგობარი ქალის გადასარჩენად, რომელიც ირლანდიის ზღვაში იხრჩობოდა.



22 წლის ალექს გიბსონი მეგობრებთან იმყოფებოდა წვეულებაზე. საღამოს მან დროის ნაწილი მეგობარ გოგონასთან ერთად გაატარა. წყვილი ერთმანეთს მას შემდეგ დაშორდა, რაც გოგონა ღამის კლუბში წავიდა. მეორე დილით გოგონამ მამაკაცს დაურეკა ჩრდილოეთის ნავმისადგომიდან და უთხრა, რომ სიცოცხლე აღარ სურდა. გიბსონი მაშინვე ნავმისადგომისკენ გაიქცა, დაინახა წყალში გადავარდნილი გოგონა და დაუყოვნებლივ ზღვაში გადაეშვა მის გადასარჩენად, მიუხედავად იმისა, რომ ცურვა არ იცოდა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ მას შემდეგ, რაც გიბსონმა გოგონამდე მიაღწია, ისინი ერთმანეთს ეჭიდებოდნენ და ცდილობდნენ, წყალზე ეტივტივათ. გოგონა მალე მიხვდა, რომ ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდნენ გადარჩენას, თუ რომელიმე მათგანი ნაპირამდე მიაღწევდა და მაშველს უხმობდა. ვინაიდან მამაკაცმა ცურვა არ იცოდა, ნაპირისკენ გოგონამ გაცურა და მაშველს დაუწყო ძებნა.

– მახსოვს, ვხედავდი, თუ როგორ უფრო და უფრო შორდებოდა ნაპირს და ყვიროდა „მიშველეთ“, – აღნიშნა გოგონამ.

სამაშველო ოპერაცია ლანკაშირის პოლიციის კონსტებელის ორგანიზებით ჩატარდა. გიბსონს თხუთმეტი წუთის შემდეგ წყლის ზედაპირზე მოტივტივეს მიაგნეს. ის სასწრაფოდ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც მისი გარდაცვალება დაფიქსირდა.

# სინოპტიკოსებმა ამერიკელები იგუანების მოსალოდნელი წვიმის თაობაზე გააფრთხილეს



სინოპტიკოსებმა ამერიკის ფლორიდის შტატის მცხოვრებლები გააფრთხილეს, რომ ტემპერატურის მკვეთრად დაწევასთან ერთად, შესაძლოა, იგუანების წვიმის თვითმხილველები გახდნენ.

ამინდის პროგნოზის წამყვანმა ვივიან გონსალესმა განმარტა, რომ აღნიშნული მოვლენა უკავშირდება იმ ფაქტს, რომ იგუანები ცივსისხლიანი ცხოველები არიან და, როდესაც ქუჩაში ჰაერის ტემპერატურა მნიშვნელოვნად დაბლა იწევს, მათ ორგანიზმში მიმდინარე ყველა პროცესი ნელდება. ზამთარში ხვლიკებს ხშირად ხის ტოტებზე სძინავთ და ამიტომ აცივების შემთხვევაში ისინი, შესაძლოა, ხიდან მიწაზე ჩამოცვივდნენ.

– ისინი მოძრაობას ანელებენ ან საერთოდ ჩერდებიან. ტემპერატურის დაწევის შემთხვევაში ისინი შეიძლება ძირს ჩამოცვივდნენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი დაიხოცნენ. ნუ მიუახლოვდებით. როგორც კი მზე გამოვა, ამოძრავდებიან, – განაცხადა ვივიან გონსალესმა.

# გზააბნეული გედის გამო მეტროს მოძრაობა შეჩერდა

ლონდონის მეტროში გზაზე აღმოჩენილი გედის გამო მეტროს შემადგენლობის მოძრაობა შეჩერდა.



მეტროს სადგურ South Action-ის მგზავრებმა ლიანდაგებზე მშვიდად მოკალათებული გედი შენიშნეს. დიდი ხნის განმავლობაში ის არანაირ ხმას არ გამოსცემდა და მშვიდად ათვალიერებდა ადამიანებს. ფრინველმა არცთუ კარგი დრო, პიკის საათი, შეარჩია მიწისქვეშ სამოგზაუროდ, თუმცა ამას იქ მყოფები არ გაუბრაზებია. მათ უფრო გედის სიცოცხლე აღელვებდათ, რომელიც დროდადრო საკონტაქტო ლიანდაგთან ახლოს მიდიოდა.

მეტროს თანამშრომლები შეეცადნენ, ფრინველი ეიძულებინათ, გაფრენილიყო, მაგრამ აქედან არაფერი გამოუვიდათ. მაშინ მათ საქველმოქმედო ორგანიზაციაში დარეკეს, რომელიც ცხოველების გადარჩენითაა დაკავებული, მაგრამ ორგანიზაციიდან ვერავინ შეძლო ადგილზე მისვლა. დაახლოებით ერთ საათში გედმა მაინც მოახერხა მიწის ზედაპირზე ამოსვლა.

მალე ადგილზე გედის დასახმარებლად, რომელიც თურმე ვერ დაფრინავდა, ლონდონის ორგანიზაცია გარეული ცხოველების დაცვის თანამშრომლები მივიდნენ.

– ფრინველი იმდენად იყო დეზორიენტირებული, რომ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ის საკმაოდ ცოტას იწონიდა და, სავარაუდოდ, ამიტომ მას, უბრალოდ, ასაფრენად ძალ-ღონე აღარ ჰყოფნიდა. გედს გაუმართლა, რომ დაზიანებები და დენის დარტყმა არ მიიღო, – აღნიშნა ერთ-ერთმა მაშველმა.

გედს საჭირო დახმარება აღმოუჩინეს და მეორე დღეს გაათავისუფლეს.

# პოლიციამ დააკავა 84 წლის პენსიონერი, რომელიც მანქანას მართვის მოწმობის გარეშე მართავდა



ინგლისის ნოტინჰემშირის საგრაფოს ქალაქ ნოტინჰემში პოლიციელებმა დააკავეს 84 წლის მამაკაცი, რომელიც 12 წლის ასაკიდან მანქანას მართვის მოწმობის გარეშე მართავდა.

ოთხშაბათს, 26 იანვარს, პოლიციელებმა სუპერმარკეტის ავტოსადგომთან გააჩერეს ავტომობილი. გაირკვა, რომ მისი მძღოლი მანქანას 12 წლის ასაკიდან მართვის მოწმობის გარეშე ატარებდა, თუმცა 72 წლის განმავლობაში ერთხელაც არ გაუჩერებიათ და საბუთები არ შეუმოწმებიათ.

პენსიონერის თქმით, ის ყოველთვის მოწესრიგებული და ყურადღებიანი იყო გზაზე მოძრაობის დროს, არასოდეს მოყოლილა ავტოსაგზაო შემთხვევაში და არ შეუქმნია საავარიო სიტუაცია.

უცნობია, თუ რა სასჯელი ელის ბრიტანელ პენსიონერს, თუმცა ადგილობრივ პოლიციაში განაცხადეს, რომ ახლა ქალაქში სათვალთვალო კამერები მომრავლდა. ასე რომ, მძღოლებს დამალვა გაუჭირდებათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# გოგონა მძარცველის ციხიდან გამოსვლას დაელოდა და ცოლად გაყოლაზე დასთანხმდა



ინგლისის უილტშირის საგრაფოს ქალაქ სუინდონის მცხოვრები გოგონა ციხიდან მძარცველი-რეციდივისტის გამოსვლას დაელოდა და მის ცოლობაზე თანხმობა განაცხადა.

22 წლის ძიძად მომუშავე ბრეია სატონის თქმით, მან 32 წლის ჰარლი უებისთან ურთიერთობა 2020 წლის აგვისტოდან დაიწყო. გოგონამ შეყვარებული ახლობლის წყალობით გაიცნო, რომელიც ციხეში მყოფ მამაკაცს ხვდებოდა და მან სთხოვა, ვინმე მარტოხელა დაქალი ხომ არ ჰყავდა მისი ახლობლისთვის.

წყვილს შორის რომანტიკული ურთიერთობა ერთთვიანი უწყვეტი სატელეფონო და სმს შეტყობინებების შემდეგ გაჩაღდა. შეყვარებულებმა ერთმანეთი ცოცხლად პირველად მხოლოდ ურთიერთობის დაწყებიდან რვა თვის შემდეგ ნახეს. 2021 წლის მაისიდან წყვილი ერთმანეთს ყოველ კვირა ხვდებოდა უების საპატიმროდან განთავისუფლებამდე.

ამჟამად მამაკაცი თავისუფლებაზე ნახევარწლიანი საგამოცდო ვადით იმყოფება და ამ დროის განმავლობაში ჰოსტელში იცხოვრებს. შეყვარებულთან ახლოს რომ ყოფილიყო, სატონმა საერთო საცხოვრებლის მახლობლად ბინა იქირავა. განთავისუფლებიდან მეორე დღეს კი უებმა გოგონას ხელი სთხოვა, რაზეც უყოყმანო თანხმობა მიიღო.

წყვილმა ფულის შეგროვება დაიწყო სახლის შესაძენად, რის შემდეგაც იქორწინებენ.

# მომაკვდავმა ტახმა მონადირე მოკლა

იტალიის ტოსკანას რეგიონში მომაკვდავმა ტახმა თავის სასიკვდილოდ დამჭრელ მონადირეზე შური იძია და მოკლა.



36 წლის ჯულიო ბურატინი მამასთან ერთად იმყოფებოდა სანადიროდ. მან ტახი დაჭრა და მისკენ შესამოწმებლად გაემართა. როდესაც მონადირე მიწაზე დაგდებულ ცხოველს მიუახლოვდა, ის ელვისებური სისწრაფით წამოხტა, მარჯვენა ფეხზე უკბინა და ბარძაყის არტერია დაუზიანა.

– მიშველეთ, მიშველეთ, ვკვდები, – აყვირდა ჯულიო, რათა მამისთვის ხმა მიეწვდინა.

სატყეო მეურნეობის მაშველები და სასწრაფო დახმარება შემთხვევის ადგილზე მივიდნენ, მაგრამ იმ დროისთვის ბურატინის უკვე საკმაოდ დიდი რაოდენობით სისხლი ჰქონდა დაკარგული და მისი გადარჩენა ველარ მოხერხდა.

მას ცოლი და შვიდი წლის გოგონა დარჩა.

# დარაჯმა ჯოხით ნიანგი გააგდო და ძაღლი გადაარჩინა



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საკურორტო ქალაქ ბალიტოში დარაჯმა ჯოხის დახმარებით გააგდო ნიანგი, რომელიც პატრულის ძაღლს თავს დაესხა.

ნიანგმა მშენებლობაზე შეაღწია, სადაც დარაჯი და მისი პატრულის ძაღლი შენიშნა. მან შინაური ცხოველი ადვილ ნადავლად მიიჩნია.

რეპტილია თავდაპირველად თავს დაესხა ძაღლს. ის მას კბილებით ჩააფრინდა და მისი გათრევა ცადა, მაგრამ დარაჯის ელვისებურმა რეაქციამ ის გადაარჩინა.

მამაკაცმა ჯოხს დასტაცა ხელი, ნიანგს წინ გადაუდგა და გააგდო. რეპტილია მიხვდა, რომ ადამიანს ვერაფერს მოუხერხებდა, გაცლა ამჯობინა და მდინარეს დაუბრუნდა.

აღნიშნული ინციდენტის შედეგად არც დარაჯი და არც ძაღლი არ დაშავებულან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

# საქართველომ ესპანეთთან ძალიან დიდი ანგარიშით წააგო



საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა 2022 წლის ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის დასკვნითი შეხვედრა ესპანეთთან გამართა. გრონინგენში ჩატარებულმა შეხვედრამ ჯგუფის გამარჯვებული გამოავლინა.

აზერბაიჯანთან და ბოსნია-ჰერცეგოვინასთან მოგებული მატჩების შემდეგ ავთანდილ ასათიანის გუნდი ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტთან, ესპანეთის ნაკრებთან 0:8 დამარცხდა. ამ გამარჯვების შემდეგ ესპანეთის ნაკრებმა ჯგუფში 7 ქულით პირველი დაიკავა, ხოლო საქართველო 6 ქულით მეორეა. შედეგად, ორივე გუნდი ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალშია.

პირველი ტაიმი საქართველოს ნაკრებმა სამბურთიანი სხვაობით დათმო. ესპანეთის ნაკრებმა უპირატესობა ბორხა დიასის, სერხიო ლოსანოსა და ჩინოს გოლებით მოიპოვა.

მე-2 ტაიმში მეკარე ზვიად კუპატაძის ნაცვლად მატჩში თორნიკე ბუკია ჩაერთო. შესვენების შემდეგ ესპანელებმა კიდევ 5-ჯერ გაიტანეს. საქართველოს ნაკრების კარში 2 გოლი ფრანცისკო სოლანოს ანგარიშზეა, დუბლი შეასრულა ფერნანდესმაც, ხოლო მე-5 ბურთი ირაკლი თოდუამ საკუთარ კარში ჩაჭრა.

მეოთხედფინალში ავთანდილ ასათიანის გუნდის მეტოქე გათამაშების კიდევ ერთი ფავორიტი, რუსეთის ნაკრები იქნება. ჩვენმა მომავალმა მოწინააღმდეგემ ჯგუფურ ეტაპზე 3 მატჩი მოიგო.

**ავთანდილ ასათიანი:**

– ეს შედეგი ჩემთვის მიუღებელია. ვგულისხმობ ანგარიშს, რადგან ცხრილში რომ ჩავიხედოთ, 6 ქულა და ჯგუფში მე-2 ადგილი საქართველოს ნაკრებისთვის ამ ეტაპისთვის ძალიან მაგარი შედეგია. მიუხედავად ესპანელებთან მარცხისა, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ვამაყობ ჩემი ბიჭებით.

თამაშამდე ვთქვი, რომ ცალი თვალი მეოთხედფინალისკენ უნდა გვქონოდა. დისკვალიფიკაციის ზღვარზე მყოფ მოთამაშეებს ყვითელი ბარათები რომ მიეღოთ, ძალიან ცუდი იქნებოდა, რადგან მთელი ძალები მეოთხედფინალში უნდა დავხარჯოთ. ეს ისტორიული თამაში იქნება ჩვენთვის და, დიდი იმედი მაქვს, რომ ესპანელებთან მარცხს მალე დავივიწყებთ.

მოვსინჯეთ თამაშში ელისანდროს ჩართვა, მაგრამ 100%-ით მზად არ იყო და აღარ გავრისკეთ. მიკრო ტრავმა ჰქონდა კუპატაძეს და შეცვლა თავად მოითხოვა. ამ შემთხვევაშიც ვერ გავრისკავდით.

მაქსიმალურად ვცდილობდით, ქულა აგვეღო, მაგრამ გამოჩნდა, რომ ასეთი დონის ნაკრებთან სათამაშოდ მზად არ ვიყავით. უბრალოდ, ძალიან საწყენია, გულზე გვხვდება ყველას ეს ანგარიში და მზად ვარ, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ავიღო.

ჩვენი ჯგუფის მეორე მატჩი აზერბაიჯანსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას შორის 4:2 დასრულდა.

**მეოთხედფინალში ითამაშებენ:**

**31 იანვარი:** პორტუგალია-ფინეთი; ყაზახეთი-უკრაინა;

**1 თებერვალი:** რუსეთი-საქართველო; ესპანეთი-სლოვაკეთი.

# შოთა არველაძე: „ინგლისში მუშაობით ამაყი და ბედნიერი ვარ“




ქართველი სპეციალისტი, 48 წლის შოთა არველაძე, ჰალ სიტის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და უკვე პირველი მატჩიც გამართა. ჩვენებურის დამოძღვრილმა ჰალმა შინ 2:0 მოუგო სუონსის.

არველაძის პირველი ინტერვიუც გამოქვეყნდა.

**შოთა არველაძე:**

– ეს ძალიან ამაღელვებელი მომენტია. მინდა, მადლობა ვუთხრა მათ, ვინც ეს შესაძლებლობა მომცა. ვინც ფეხბურთში მოღვაწეობს, ყველას უნდა, ინგლისში იყოს. ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ ეს შესაძლებლობა მომეცა.

ზოგადად, ინგლისური ფეხბურთი დიდებული რამაა, მდიდარი ისტორია და ტრადიციაა, სადაც ბაბუები შვილიშვილებთან ერთად დადიან თამაშებზე. საქართველოში გავიზარდე, პირველი შეხება ფეხბურთთან 6 წლისას მქონდა, როცა ჩემს ძმებთან, ბაბუასთან და მამასთან ერთად თბილისის დინამოსა და ლივერპულს თამაშზე წავედი. ჩვენ მათ 3:0 მოვუგეთ. კარგად მახსოვს, თბილისში წვიმდა და თამაშზე ძალიან ბევრი ხალხი იყო. ამ ქვეყნისათვის ფეხბურთი განსაკუთრებული რამაა, კულტურის ნაწილია და ამიტომაც ჩემს ოჯახთან ერთად ვამაყობ, აქ რომ მოვხვდი.

მწვრთნელად რამდენიმე ქვეყანაში ვიმუშავე. ყოველი წელი, უცხო ქვეყნებში მუშაობა და უცხო კულტურებთან შეხება უფრო გამოცდილს და ძლიერს მხდიდა. მჯერა, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. შემიძლია იმ ხალხის იმედების გამართლება, ვინც აქ მომიწვია და ვისაც ჩემი სჯერა.

ვიმუშავე არაერთ ცნობილ მწვრთნელთან, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არც ერთი მათგანის კოპირება არ მომიხდენია. რა თქმა უნდა, დიდი განსხვავებაა მთავარ მწვრთნელობასა და ასისტენტობას შორის. უკვე ვთქვი, რომ ვიმუშავე არაერთ მწვრთნელთან, მათ შორის, ჩემპიონთა ლიგაზეც და უნდა გითხრათ, რომ მათთან მუშაობით დიდი გამოცდილება მივიღე.

ვარ მწვრთნელი, რომელსაც უყვარს სანახაობრივი ფეხბურთი. ფეხბურთელებს უნდა მივცე მაქსიმუმი და მათაც იგივე უნდა გააკეთონ. რა თქმა უნდა, შეიძლება, იყოს განსხვავებული აზრი, მაგრამ ეს ნორმალურია და პროცესის ნაწილია. ყველაფერი უნდა იყოს დაფუძნებული ურთიერთპატივისცემაზე.

რაც შეეხება უზბეკეთში გატარებულ პერიოდს, პირველ რიგში შემიძლია ვთქვა, რომ იქ წასვლა რთულად გადავწყვიტე. ჩვენ შედარებით იშვიათად ვუყურებთ აზიურ ფეხბურთს და ხშირად არ ვიცით, თუ რა კარგად შეუძლიათ მათ თამაში. აგერ, ყატარის ნაკრებმა ითამაშა კოპა ამერიკაზე, ირანი, იაპონია და სამხრეთ კორეა კი მსოფლიოს ჩემპიონატს იშვიათად აცდენენ.

რაც შეეხება ფახთაქორს, ეს ჩემთვის გამოწვევა გახლდათ. ეს არის დიდი კლუბი. მახსოვს, წარსულში, საბჭოთა კავშირის დროს, როგორ თამაშობდნენ ფახთაქორი და თბილისის დინამო ერთ ლიგაში. ეს მართლაც გამოწვევა იყო. იქ მზე სულ ანათებს – 45 გრადუსი, 50, 60. ცოტა ნელი რიტმია. ჩვენ ერთ, საფეხბურთო ენაზე ვსაუბრობდით და ამიტომ ვიყავი იქ ამ დროის განმავლობაში. როცა ასე ხდება, ყველაფერი ადვილია. მინდა, მადლობა ვუთხრა კლუბის ხელმძღვანელებს, მესაკუთრეებს, იმ ხალხს, ვინც გვერდით გვედგა. ასე მოვიდა წარმატებები როგორც აზიის ჩემპიონთა ლიგაზე, ისე საშინაო ასპარეზზე, სადაც ვდომინირებდით.

რამდენად „მშიერი“ ვარ წარმატებებთან მიმართებით ჰალ სიტიში? სხვათა შორის, ჯერ არ მისაუზმია. ინგლისში ბევრი ჩემი მეგობარი მუშაობს. მოტივირებული ვარ, ვაჩვენო ამ გუნდთან ერთად, ამ ბიჭებთან ერთად, რომ შეგვიძლია, ვიყოთ ენერგიულები, მიზანსწრაფულები, წარმატებულები და ხარისხიანები. ჩვენ გვყავს ბევრი ახალგაზრდა ტალანტი და ყოველივე ეს დიდი მოტივაციაა ჩემთვის.

გუნდში გვყავს შემოქმედებითი ფეხბურთელები, როგორც გამოცდილები, ისევე ახალგაზრდები. ეს არის კარგი მიქსი, რომლისგანაც უნდა მივიღოთ შედეგი. ჩემი აზრით, ქომაგები ამას ყველაზე უკეთესად ხედავენ, უკეთ, ვიდრე ნებისმიერი მწვრთნელი, ან ხელმძღვანელი. რა თქმა უნდა, იქნება აღმასვლები და ჩავარდნები, ეს ფეხბურთია, მაგრამ ქომაგებმა უნდა ნახონ, რომ ყოველ წამს ჩვენი გუნდი მიდის წინ და წინ.

რაც შეეხება მიზნებს. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა ჩემს წინამორბედებს, ვინც მუშაობდა და მოახერხა ის, რომ კლუბი არის სახიფათო ზონის ზემოთ. მოპოვებული ქულები ჩვენთვის გარკვეულ კრედიტს იძლევა. მჯერა, რომ შევძლებთ სიტუაციის უკეთესობისაკენ შეცვლას, მაგრამ ამას მარტო ვერ გავაკეთებ, მაქვს იმ ქომაგების იმედი, რომლებიც მხარს უჭერენ ამ კლუბს.

მინდა, ჰალის ქომაგებს ვუთხრა, რომ შევეცდებით, მუდამ შემტევი და ხარისხიანი ფეხბურთი ვაჩვენოთ. კიდევ ერთხელ ვიტყვი, ჩვენ მათი მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

# შედეგები

## 29 იანვარი

**ფეხბურთი**

**აფრიკის ერთა თასი**

| | |
|---|---|
| გამბია-კამერუნი | 0:2 |
| ბურკინა ფასო-ტუნისი | 1:0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-ბორნმუთი | 0:1 |
| ქპრ-რედინგი | 4:0 |
| ლუთონი-ბლექბერნი | 0:0 |
| მიდლსბრო-ქოვენთრი | 1:0 |
| მილუოლი-ვესტ ბრომვიჩი | 2:0 |
| პრესტონი-ბრისტოლი | 2:2 |
| ფულემი-ბლექპული | 1:1 |
| ჰალი-სუონსი | 2:0 |
| პიტერბრო-შეფილდი | 0:2 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ამორებიეტა-ხირონა | 1:0 |
| ლუგო-ბურგოსი | 1:0 |
| ეიბარი-უესკა | 2:1 |
| ოვიედო-ალმერია | 2:0 |

**პორტუგალია. ლიგის თასი ფინალი**

| | |
|---|---|
| ბენფიკა-სპორტინგი | 1:2 |

**ბელგია. ა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბეერსხოტი-ვარეგემი | 3:3 |
| სერენი-ეუპენი | 0:0 |
| სერკლი-ოსტენდე | 0:1 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| როსი-რეინჯერსი | 3:3 |
| სელტიკი-დ.იუნაიტედი | 1:0 |
| ჰართსი-მოზერველი | 2:0 |
| ჰიბერნიანი-ლივინგსტონი | 2:3 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ციურიხი-სერვეტი | 1:0 |
| იანგ ბოიზი-ლუგანო | 1:0 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ლამია-ოფი | 2:1 |
| პანათინაიკოსი-ასტერასი | 0:1 |
| იონიკოსი-ატრომიტოსი | 2:1 |

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

| | |
|---|---|
| პაკში-ზალაეგერსეგი | 3:2 |
| დებრეცენი-კიშვარდა | 0:0 |
| ჰონვედი-დიორტი | 0:1 |

# მეფე ნადალი და სეტწაუგებელი ბარტი

რაფაელ ნადალმა ისარგებლა ავსტრალიაში უშუალო კონკურენტების არყოფნით და მსოფლიოს აბსოლუტური რეკორდსმენი გახდა. ესპანელმა ჩოგბურთელმა ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში რუსი დანილ მედვედევი 2:6; 6:7; 6:4; 6:4; 7:5 დაამარცხა და „დიდი სლემის“ ტურნირი 21-ედ მოიგო.

ნადალს ავსტრალიაში როჯერ ფედერერი რომ ვერ შეეცილებოდა, მანამდეც ცნობილი იყო, ხოლო არავაქცინირებული ნოვაკ ჯოკოვიჩი ავსტრალიაში არ შეუშვეს. სამივე მათგანს აქამდე 20-20 „დიდი სლემის“ ტიტული ჰქონდა მოპოვებული. ესპანელმა შანსი ხელიდან არ გაუშვა, არადა, საწყისი ორი სეტი წააგო, თანაც, პირველი – პირწმინდად. თუმცა ასეთ დროს ნადალი არ ტყდება. ესპანელმა ჩოგბურთელმა მესამე სეტიდან შეცდომებს უკლო, გაცილებით აგრესიულადაც ათამაშდა და ზედიზედ სამი სეტი მოიგო.

ავსტრალიის ღია პირველობა ქალთა შორის კი მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ეშლი ბარტიმ სეტის წაუგებლად მოიგო.

25 წლის ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა ფინალში ამერიკელი დანიელ კოლინზი 6:3; 7:6 დაამარცხა.

შეხვედრამ საათსა და 29 წუთს გასტანა.

პირველ სეტში მომავალმა ჩემპიონმა მეექვსე გეიმში ბრეიკი შეასრულა და მერე მშვიდად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე. მეორე სეტი ბარტისთვის რთული გამოდგა. ავსტრალიელი 1:5 ჩამორჩა და მოწოდებაზე მეტოქე იდგა. ბარტიმ გაათანაბრა, საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა, იქ კი თავიდანვე 4:0 დაწინაურდა და მალე ჩემპიონობაც გაიფორმა.

ერთეულთა თანრიგში ეს ბარტის კარიერაში მესამე „დიდი სლემის“ ტიტულია.

# ოდიკაძის ბრინჯაო რუსეთში

რუსეთის ქალაქ კრასნოიარსკში დასრულებულ ივან იარიგინის სახელობის გრან პრიზე ელიზბარ ოდიკაძემ (97კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ჩვენებურმა საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსი აშხაბ ბოლტუკაევი (12:2) წმინდად დაამარცხა, მერვედფინალში ასევე რუსთა ფალავან ზნაურ კოციევთან (10:10) ფრედ დაასრულა ორთაბრძოლა, მაგრამ ბოლო ქულის უპირატესობით ჩვენებურმა იმარჯვა, მეოთხედფინალში მონღოლ ბატზულ ულზისაიხანს (12:1) ასევე აჯობა, ხოლო ჩვენი ფალავანი ნახევარფინალში რუს შამილ მუსაევთან (6:9) დამარცხდა და ბრინჯაოსთვის მასპინძელ ერიკ ჯიოევს დაეჭიდა, რომელსაც 12:2 მოუგო.

საქართველო ამ პრესტიჟულ ტურნირზე 3 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი – ოდიკაძის გარდა, გიორგი ღონიაშვილი (61) და ტარზან მაისურაძეც (86) ჭიდაობდნენ. თუმცა, ორივე მათგანმა გამოსვლა ადრეულ ეტაპზე დაასრულა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*


# სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**დათო ჭელიძე:** წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

**ჟანა ამირანაშვილი:** ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვედო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**



**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**


# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ტაძარი ქუთაისში; 2. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქალი ჭადრაკში; 3. სხეულის რომელიმე ნაწილის გახვრეტა სამკაულის დასამაგრებლად; 4. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 5. ქართული ხალხური ცეკვა; 8. უდიდესი ატომური ელექტროსადგური გერმანიაში; 9. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 12. სამხრეთაფრიკელი ქირურგი, რომელმაც პირველმა განახორციელა გულის გადანერგვის ოპერაცია; 13. ეზოს დიდი რკინის კარი; 16. სასტუმრო გაგრაში; 17. ხანგრძლივი ღრმა ძილის მდგომარეობა; 19. ჯარების საზეიმო დათვალიერება; 20. აბანოს თანამშრომელი.

**თარაზულად:** 6. ექიმბაშის ძველი ქართული სახელწოდება; 7. დაკეპილი ხორცის გულიანი სვანური ორცხობილა; 8. ფრანგი კინორეჟისორი; 10. ფაიფურის წარმოებაში გამოყენებული თეთრი ფერის ცეცხლგამძლე თიხა; 11. თხუნელის მეორე სახელწოდება; 14. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 15. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 18. სპარსელი პოეტი; 21. მსხვილად დაფქვილი სიმინდის მარცვალი; 23. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 23. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 24. ჩაის დეგუსტატორი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჩედერი; 2. აკრი; 3. მუხამბაზი; 4. ცაიში; 5. მალხაზი; 8. ლორისი; 9. ხაბიზგინა; 12. მადონა; 14. გერანი; 16. აპოლო.

**თარაზულად:** 1. ჩოხატაური; 6. ბუფონადა; 7. დასლერი; 9. ხარატი; 10. ბივა; 11. მიკრობი; 13. ბიგლი; 15. მარიცა; 17. მიუსერა; 18. კოსოვო; 19. ირონია; 20. რომანსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სადროშო; 2. აფალინა; 3. ჩინეჩიტა; 4. ჯეჯილი; 5. კასკადი; 8. კანტონი; 9. სიბარიტი; 12. საქსაული; 13. გლუკოზა; 16. სოლფეჯიო; 17. ოლიმპია; 19. აპნისი; 20. ასკოტი.

**თარაზულად:** 6. პაციფისტი; 7. ბედლამი; 8. კრეოლი; 10. კორსიკა; 11. კაფია; 14. ბალატონი; 15. ექსპორტი; 18. როტარუ; 21. პოზიცია; 22. ისტრი; 23. იტალია; 24. პორტოფინო.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


31 იანვარი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0521

ევრო — 3.3994

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0858

100 რუსული რუბლი — 3.9160

## ამინდის პროგნოზი 31 იანვრისათვის




## უსმან დემბელე, შესაძლოა, ნიუკასლში გადავიდეს



ბარსელონის ფორვარდი უსმან დემბელე გუნდს, დიდი ალბათობით, ზაფხულში დატოვებს და, სავარაუდოდ, ის კარიერას პრემიერ ლიგაში გააგრძელებს, სადაც მისი შეძენით რამდენიმე გუნდია დაინტერესებული, მათ შორის ნიუკასლი.

თვითონ დემბელეს ჯერ არ გადაუწყვეტია, რომელ გუნდში ითამაშებს და ის ამას ზაფხულში გააკეთებს.

ნიუკასლის გარდა, დემბელეს საკუთარ რიგებში ხილვა ლონდონის ჩელსის სურს.

## ჟირუს მილანში ტიტულების მოგება სურს



მილანის ფრანგმა ფორვარდმა ოლივიე ჟირუმ თავისი გუნდის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ მილანს შეუძლია ტიტულების მოგება, თუმცა ამის გაკეთება წლევანდელ სეზონში იოლი არ იქნება:

– მილანმა თავისი შესაძლებლობები არაერთხელ აჩვენა და ყველამ იცის, რომ ჩვენ უფრო მეტი შეგვიძლია, თუმცა ბევრი უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რომ სტაბილურობას მივაღწიოთ და ტიტულების მოგებაზე ვიფიქროთ.

## კვარაცხელიას რუსეთში ისევ აკრიტიკებენ



ხვიჩა კვარაცხელიას რუსეთში ისევ აკრიტიკებენ. მასზე წერენ, რომ ის ვერ ახერხებს ოპტიმალურ ფორმაში ჩადგომას და ამის მიზეზი ის არის, რომ რუბინში თამაში არ სურს. კვარაცხელიას ტრანსფერი ზაფხულში უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ის არ შედგა და კვარაცხელია რუბინში დარჩა.

ამის გამო მის თამაშში საკმაოდ დიდი რეგრესია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## უსახლკარო მამაკაცი ლუდის და სიგარეტისთვის თვითმფრინავში შეძვრა



ინგლისის ქალაქ მანჩესტერის აეროპორტში უსახლკარო მამაკაცმა ჩუმად შეაღწია თვითმფრინავში, სადაც ლუდი დალია და სიგარეტი მოწია, შემდეგ კი იქიდან პირდაპირ აფრენის წინ ჩამოხტა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 35 წლის მარტინ რუძკიმ აეროპორტის ტერიტორიაზე შეაღწია, გადალახა ღობე. თვითმფრინავში მან ღია საბარგულის კარიდან შეაღწია. გარკვეული დროის შემდეგ ის აეროპორტის თანამშრომლებმა შენიშნეს და პოლიცია გამოიძახეს.

დაკავების შემდეგ მას 100 ფუნტი სტერლინგის ოდენობის ჯარიმა გამოუწერეს და ორი წლით აეროპორტის ტერიტორიაზე გამოჩენა აუკრძალეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 31 იანვრისათვის



**ვერძი** – საქმეში ხელს უყურადღებობა და დაუდევრობა გიშლით. ერიდეთ ქარაფშუტა და ზარმაც ადამიანებთან ურთიერთობას. **კურო** – ნუ აჩქარდებით. გულმოდგინედ გააანალიზეთ თითოეული ნაბიჯი. ილუზიებს არ აჰყვეთ. **ტყუპები** – კომერციული საქმიანობისათვის, ცოდნის არეალის გასაფართოებლად მშვენიერი დღეა. არ იზარმაცოთ. **კირჩხიბი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. პირად ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე გაქვთ. **ლომი** – ნებისმიერი კოლექტიური საქმიანობა თქვენგან სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვს. მოსალოდნელია კონფლიქტი უფროსობასთან. **ქალწული** – საქმიან პარტნიორთან ურთიერთობა გაფორიაქებთ. ერიდეთ გაუთვალისწინებელ ხარჯებს. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა ადრე დაწყებული საქმის დასამთავრებლად. ახლობლებთან ურთიერთობა ჰარმონიულია. **მორიელი** – დღის პირველ ნახევარში ყურადღების ცენტრში ხართ. თავმოყვარეობას გაუფრთხილდით. **მშვილდოსანი** – მეგობრების გონივრული რჩევები გაითვალისწინეთ. ეცადეთ, საქმე აუჩქარებლად აკეთოთ. **თხის რქა** – სამსახურში ხელმძღვანელობის მხრიდან დაბრკოლებები შეგხვდებათ. ჯანმრთელობას მიხედეთ და, საჭიროების შემთხვევაში, ექიმთან ვიზიტი არ დააყოვნოთ. **მერწყული** – დაძაბული დღეა. ხმაურიან საზოგადოებაში გამოჩენას ერიდეთ. გეგმები გეცვლებათ. **თევზები** – მშვიდი დღეა. საქმეში ხელს არავინ გიშლით. საღამოს დაისვენეთ და გაერთეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

მამაკაცი სამსახურში დააწინაურეს, ლატარიაში მსხვილი თანხა მოიგო და გახარებული სახლში ბედნიერებისგან აღრიალებული შევარდა. ამ დროს ცოლი ეუბნება:

– ნუ ღრიალებ, დედაჩემი გარდაიცვალა...

– ღმერთო, ამდენი ბედნიერება ერთად?!!!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ისევ მარტო ხარ? ცოლი გჭირდება.

– რისთვის?

– ნამეტანი ბედნიერი გამომეტყველება გაქვს...

●●●

კაფეში ოფიციანტი მამაკაცს ეკითხება:

– ყავა კონიაკით?

– არა...

– უკონიაკოდ?

– უყავოდ.

●●●

ექიმი მამაკაცის გასინჯვის შემდეგ მის ცოლს ეუბნება:

– თქვენს მეუღლეს სრული სიმშვიდე სჭირდება. დამამშვიდებელი გამოგიწერეთ.

– და როგორ უნდა მიიღოს?

– მან კი არა, თქვენ უნდა მიიღოთ.

●●●

მამაკაცი საწარმოს ხელმძღვანელს ეუბნება:

– მინდა, თქვენს საწარმოს შევთავაზო ეს პირის საპარსი ავტომატი. კლიენტი მასში ჩაუშვებს მონეტას, თავს ამ ჭრილში შეყოფს და ორი „ბრიტვა“ ავტომატურად იწყებს მის პარსვას.

– კი მაგრამ, ყველა ადამიანს ხომ ინდივიდუალური სახის ნაკვთები აქვს და...

– თავიდან კი!

●●●

დაქალები მანქანის დაშვებულ საბურავს უყურებენ და ერთი მეორეს ეუბნება:

– ნახე რა, საბურავი დაეშვა...

– სულ?

– არა, მარტო ქვედა მხარე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## რიანა დემნას ერთგული მომხმარებელი გახდა



მსოფლიო ვარსკვლავი რიანა ქართველი დიზაინერის დემნას სამოსითა და აქსესუარებით სულ უფრო ხშირად ჩნდება საზოგადოების წინაშე.

თუკი მანამდე ბარბადოსელი მომღერალი დემნას მხოლოდ ფეხსაცმელს, სათვალეს ან პალტოს იწონებდა, რამდენიმე დღის წინ ის პაპარაცებმა მთლიანად დემნას დიზაინით შექმნილი სამოსითა და აქსესუარებით გამოპრანჭული დააფიქსირეს.

პალტო, შარვალი, „ჰუდი“, ფეხსაცმელი – რიანამ ყველაფერი დემნას სხვადასხვა წელს შექმნილი კოლექციებიდან შეარჩია და ფოტოგრაფების სამიზნეც აღმოჩნდა.

## სალომე ჭაჭუათი ირლანდიური პრესა დაინტერესდა



ქართველი მოცეკვავე სალომე ჭაჭუა ირლანდიურ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მონაწილეობს და თავისი ნიჭიერებით ადგილობრივი ჟურნალისტების ყურადღებაც დაიმსახურა.

სალომეთი ირლანდიური პრესა დაინტერესდა და მასთან საგაზეთო თუ სატელევიზიო ინტერვიუების მომზადების სურვილს სულ უფრო მეტი ჟურნალისტი გამოთქვამს.

სალომე ჭაჭუას მეწყვილე ირლანდიურ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ცნობილი მორაგბე ჯორდან ქონროია. მათ უკვე 2 საკონკურსო ნომერი წარადგინეს და ჟიურისგან საკმაოდ კარგი ქულებიც დაიმსახურეს.

## მარო მაყაშვილის დღიური ფრანგულად ითარგმნება



ეროვნული გმირის მარო მაყაშვილის დღიური სულ მალე ფრანგულ ენაზე ითარგმნება.

ინფორმაცია ლიტერატურის მუზეუმის ხელმძღვანელმა ლაშა ბაქრაძემ გაავრცელა:

– მალე საფრანგეთში ფრანგულ ენაზე ნათარგმნი მარო მაყაშვილის დღიური გამოიცემა – ლიტერატურის მუზეუმისა და ერთ-ერთი ადგილობრივი გამომცემლობის თანამშრომლობით.

მანამდე კი მისი დირექტორის მაია გიორხელიძის ფინანსური მხარდაჭერით ახლიდან დავბეჭდეთ ეს წიგნი.

ძალიან დიდი მოთხოვნაა მარო მაყაშვილზე. ძალიან ხშირად გვეკითხებოდნენ, ახალი ტირაჟი როდის დაიბეჭდებაო და აი, დღეიდან შეგიძლიათ, მუზეუმში შეიძინოთ.

## დიმიტრი ხვთისიაშვილი მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა



რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა.

იგი ამ თანამდებობას 4 წლის ვადით დაიკავებს.

დიმიტრი ხვთისიაშვილი მოზარდ მაყურებელთა თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის პოზიციას იკავებდა და უფლებამოსილების 4-წლიანი ვადა მიმდინარე წლის 1 იანვარს ამოეწურა.

მოცემულ თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის შესარჩევად კონკურსი შარშან 30 დეკემბერს გამოცხადდა. კონკურსში მონაწილეობა მხოლოდ დიმიტრი ხვთისიაშვილმა მიიღო, რის შემდეგაც ის კვლავ დამტკიცდა აღნიშნულ თანამდებობაზე.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## გველების გამო გოგონა მიწისქვეშ სანიაღვრე მილში გაიჭედა



ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ საუტლეიკში ორმა უზარმაზარმა გველმა სანიაღვრე მილიდან გამოსასვლელი გზა გადაუღობა 12 წლის გოგონას. ამის გამო მან გამოსვლა ვერ შეძლო და ატირდა.

დები ტორი და კარლი ორკვირიან კარანტინში იმყოფებოდნენ და გადაწყვიტეს სახლის გარშემო ტერიტორია გამოეკვლიათ. ქუჩაში მყოფი 12 წლის ტორი მიწისქვეშ გამავალ სანიაღვრე მილში შეძვრა, შემდეგ კი უკან გამოძრომას შეეცადა. როდესაც გოგონა გამოსასვლელთან მიხოხდა, უზარმაზარი შავი ფერის გველი შენიშნა. გოგონა მილში სხვა გამოსასვლელის მოსაძებნად შეტრიალდა.

ქალაქის საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტში განაცხადეს, რომ მილში გოგონა კიდევ ერთ გველს გადააწყდა. ტორის დასახმარებლად მილში შეძრომა კარლისაც სურდა, მაგრამ დიდი გველის დანახვამ გადააფიქრებინა

კარლი სახლში გაიქცა დედის დასაძახებლად. მას იმედი ჰქონდა, რომ მოზრდილი ადამიანი შეძლებდა მილის თავსახურის აწევას და მისი დის იქიდან გამოყვანას.

ადგილზე მისულმა ქალმა შვილისთვის დახმარების გაწევა ვერ მოახერხა, ვინაიდან მილზე დაფარებული ცხაური მისთვის მეტისმეტად მძიმე აღმოჩნდა. ამის შემდეგ მან მაშველების გამოძახება გადაწყვიტა. ადგილზე მისულმა სპეციალისტებმა სწრაფად მოახერხეს გოგონას მილიდან გამოყვანა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 2. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 3. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 4. პლასტიკურ და რიტმულ მოძრაობათა ხელოვნება; 5. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 8. აეროპორტი ტოკიოში; 9. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთ აზიაში; 12. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 14. ძალზე მტკიცე მინერალი, ძვირფასი ქვა; 16. მოკლე, ალეგორიული მოთხრობა.

**თარაზულად:** 1. სახლის ზედა ნახევარსართული; 6. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 7. ცხვრის ტყავისგან შეკერილი ზედა მოსასხამი; 9. ოპერა „ტოსკას“ კომპოზიტორი; 10. საქონლის შიგნეულისა და ჩლიქებისაგან მომზადებული წვნიანი კერძი; 11. ვეტერინარის ძველი ქართული სახელწოდება; 13. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 15. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 17. სიგელი რაიმე წარმატებისთვის; 18. სოფელი ლანჩხუთის რაიონში; 19. გოეთეს ტრაგედია; 20. საყოველთაო ლოცვა დიდი საეკლესიო დღესასწაულის დროს.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

